პროლეტარებო ყველანი ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 41-ე წელი № 155 (11766) | ოთხშაბათი, 6 ივლისი, 1960 წ. | ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



სურათზე: ნ. ს. ხრუშჩოვი და მისი თანმხლები პირები ათვალიერებენ წყალსამკურნალოს „ტერეზიენბადს“.
ფოტო საკდესის სპეციალური ფოტოკორესპონდენტის ვ. კოშევოისა. (მიღებულია ფოტოტელეგრაფით).

# ნ. ს. ხრუშჩოვი ავსტრიაში

**ვენა**, 4 ივლისი. საკდესის სპეციალური კორესპონდენტები ვ. შუმსკი და ლ. სტეპანოვი გადმოგვცემენ: ნ. ს. ხრუშჩოვი განაგრძობს მოგზაურობას ავსტრიის პროვინციებში. ნაშუადღევს ნ. ს. ხრუშჩოვი და სხვა საბჭოთა სტუმრები ქალაქ ველსში ჩავიდნენ. ველსი ავსტრიის უდიდესი სასოფლო-სამეურნეო ცენტრია და აქ ყოველწლიურად ეწყობა ავსტრიის ყველა სასოფლო-სამეურნეო ბაზრობა.

ველსის მცხოვრებნი ქუჩებში გამოვიდნენ საბჭოთა სტუმრების გამოჩენამდე დიდი ხნით ადრე. ნ. ს. ხრუშჩოვს, რომელსაც ახლდა ფედერალური კანცლერი ი. რააბი, შეხვდა ავსტრიის სოფლის მეურნეობის მინისტრი ო. პარტმანი. მოკლედ რომ გაეცნენ მეცხოველეობის ინსტიტუტს, სტუმრები გავიდნენ ეზოში, სადაც მათთვის სიურპრიზი მოელოდებინათ. ნ. ს. ხრუშჩოვს საჩუქრად მიართვეს ორი ჯიშიანი მოზვერი.

ნიკიტა სერგეს-ძე ხრუშჩოვმა მადლობა გადაუხადა საჩუქრისათვის.

აიტობუსების კოლონა გზას განაგრძობს. გზამ ჩაუარა თვალწარმტაც ტბებს, მწვანე და კლდოვან მთებს ძუა. მდებარე ეს ტბილი ალპური ტბები მრავალ ოცხოელ ტურისტს იზიდავენ.

საღამოს ნ. ს. ხრუშჩოვი და მისი თანმხლები პირები მივიღნენ ფუშლის მონადირეთა კოშკში, რომელიც მდებარობს ქალაქ ზალცბურგის მიდამოებში. აქედან ისინი ხანმოკლე შესვენების შემდეგ ზალცბურგში გაემგზავრნენ.

**ზალცბურგი**, 4 ივლისი. საკდესის სპეციალური კორესპონდენტები ვ. შუმსკი და ლ. სტეპანოვი გადმოგვცემენ: დღეს გვიან საღამოს ნ. ს. ხრუშჩოვი და მისი თანმხლები პირები ჩამოვიდნენ ქალაქ ზალცბურგში — ზალცბურგის პროვინციის დიდაქალაქში. ქუჩებში, სადაც საბჭოთა სტუმრმა გაიარა, ქალაქის მცხოვრებნი გულთბილად მიესალმებოდნენ საბჭოთა ხალხის წარმომადგენელს.

ნ. ს. ხრუშჩოვი წავიდა ვოლფგანგ ამადეი მოცარტის სახლ-მუზეუმისაკენ, სადაც დაიბადა და ბავშვობა გაატარა დიდმა ავსტრიელმა კომპოზიტორმა. მუზეუმის დირექტორმა ბრუნო ხანმმ ნ. ს. ხრუშჩოვს სიტყვით მიმართა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ნ. ს. ხრუშჩოვისა და მისი თანამგზავრების მიერ მოცარტის სახლ-მუზეუმის დათვალიერება მიიჩნია განსაკუთრებულ კომპოზიტორის ხსოვნისა და მისი უაღრესად ხალხური შემოქმედების პატივსაცემად. ნ. ს. ხრუშჩოვი დაწერილებით გაეცნო მოცარტის სახლ-მუზეუმის ექსპონატებს. მან, კერძოდ, ყურადღება მიაქცია ქალაქ თბილისის მე-11 სახელოსნო სასწავლებლის მოსწავლეთა მერ გაკეთებულ სპილენძის გრავიურას დიდი კომპოზიტორის გამოსახულებით. საბჭოთა მთავრობის მეთაურმა სახლ-მუზეუმს აჩუქა გრამოფონის ფირფიტებზე ჩაწერილი მუსიკა ჩაიკოვსკის ბალეტისა „გედის ტბა“ და პროკოფიევის ბალეტისა „რომეო და ჯულიეტა“.

ამის შემდეგ ნ. ს. ხრუშჩოვმა ხელი მოაწერა სახლ-მუზეუმის საპატიო სტუმართა წიგნში.

მოცარტის სახლ-მუზეუმში ნ. ს. ხრუშჩოვის ყოფნის დროს სახლის ახლოს მდებარე მოედანზე შეკრებილნი სთხოვნენ ნიკიტა სერგეს-ძეს გამოვიდეს მათთან. იგი მიდის ფანჯარასთან და მრავალთასიანი ხალხის მოწონების გუგუნში გერმანულად ამბობს: „ფროიდშაფტ“.

ამის შემდეგ ნ. ს. ხრუშჩოვი გულითად მადლობას იხდის იმისათვის, რომ შესაძლებლობა მიეცა დაათვალიერებინა მოცარტის მუზეუმი, და გულითადად ეთხოვება იმ პირებს, რომლებიც მას ახსნა-განმარტებას აძლევდნენ.

შემდეგ ნ. ს. ხრუშჩოვმა და მისმა თანმხლებმა პირებმა დაათვალიერეს ახალი საკონცერტო დარბაზი ტრადიციული მუსიკალური ფესტივალებისათვის, რომლებიც ზალცბურგში იმართება ყოველი წლის ზაფხულში. საკონცერტო დარბაზის შესასვლელთან ნ. ს. ხრუშჩოვსა და მის მეუღლეს მხურვალედ მიესალმნენ ავსტრია-საბჭოთა კავშირის საზოგადოების წარმომადგენლები.

ზალცბურგის პროვინციის მთავრობის მეთაურმა ი. კლაუსმა და ქალაქ ზალცბურგის ბურგომისტრმა ა. ბეკმა პროვინციის მთავრობის რეზიდენციაში გამართეს დიდი დარბაზობა ნ. ს. ხრუშჩოვის პატივსაცემად. დარბაზობას დესპრნენ ფედერალური კანცლერი ი. რააბი, პროვინციის მთავრობისა და ქალაქ ზალცბურგის სენატის წევრები.

საბჭოთა კავშირის მხრივ იყვნენ ა. ნ. კოსიგინი, ე. ა. ფურცევა, ა. ა. გრომიკო და სხვები. საბჭოთა მთავრობის მეთაურს ნ. ს. ხრუშჩოვს წარუდგინეს ზალცბურგის პროვინციის მთავრობის წევრები და ქალაქის სენატორები. დარბაზობაზე გამოვიდა ზალცბურგის მბარის მთავრობის მეთაური ი. კლაუსი, რომელმაც წარმოთქვა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის, მისი ოჯახის სადღეგრძელო, სსრ კავშირის ხალხთა კეთილდღეობის სადღეგრძელო.

სიტყვა წარმოთქვა ნ. ს. ხრუშჩოვმა, რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ.

## ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

პატივცემულო ბატონო ფედერალურო კანცლერო!

პატივცემულო ბატონო მთავრობის მეთაურო!

პატივცემულო ბატონო ბურგომისტრო!

ქალბატონებო და ბატონებო!

ჩვენ მოხარული ვართ, რომ მოგვიხდა თქვენს ქალაქში ყოფნა. მე უკვე გამოგნია ანასტას ივანეს-ძე მიკოიანისაგან, ზალცბურგი ლამაზი ქალაქიაო, და ახლა თვითონ ვრწმუნდები მისი სიტყვების სიმართლეში. როცა აქ ხარ კაცი, ადვილად მიხვდები, თუ რატომ გახდა თქვენი ქალაქი ტურიზმის ცენტრი და საერთაშორისო მუსიკალური და თეატრალური ფესტივალების მოწყობის ადგილი. ვფიქრობ, არ ვაწყენინებ ზალცბურგის პატრიოტებს, თუ ვიტყვი, რომ ჩვენშიც, საბჭოთა კავშირშიც ბევრია წარმტაცი ბუნებითა და მარგებელი ჰავით ცნობილი ლამაზი ადგილები, რომლებიც ბევრ ტურისტს იზიდავენ. სიტყვას რომ არ დაგიდოთ, ჩამოდით ჩვენში და ნახავთ ადგილებს, რომლებსაც შეუძლიათ ხილამაზით შეეცილონ თქვენს „მესანიშნავ ადგილებს. ჩვენ მოსწრული ვიქნებით, თუ ავსტრიიდან ტურისტები უფრო ხშირად ჩამოვლენ და გაეცნობიან საბჭოთა კავშირის ბუნების სილამაზეს.

სასიამოვნოა ზალცბურგის ნახვა იმიტომაც, რომ ეს არის სამშობლო დიდი კომპოზიტორის მოცარტისა, რომლის ცხოველმყოფელი მუსიკა ატკბობს მილიონობით ადამიანს მთელ მსოფლიოში, კერძოდ, საბჭოთა კავშირშიც.

ჩვენ პატივისცემით აღვნიშნავთ ზალცბურგის როლს, რომელიც ხალხთა შორის კულტურული ურთიერთობის ერთ-ერთი ცენტრია ევროპაში. აქ მოწყობილმა მუსიკალურმა და თეატრალურმა ფესტივალებმა დამსახურებული სახელი მოიხვეჭეს როგორც ხელოვნების მიღწევათა მკაფიო დათვალიერებამ.

ჩვენთვის გასაგებია, რომ ავსტრიელი ხალხი ისწრაფვის იცხოვროს ხალხთა შორის მშვიდობის პირობებში. ავსტრიელი ხალხი ჰიტლერული აგრესიის პირველი მსხვერპლი იყო და იცის, თუ რა არის ომის საშინელებანი. ნეიტრალიტეტის პოლიტიკას რომ ახორციელებს, ამით ავსტრიას თავისი წვლილი შეაქვს მშვიდობისა და მშვიდობიანი თანაარსებობისათვის ბრძოლის კეთილშობილურ საქმეში.

ავსტრიას, მე მგონია, არ შეუძლია გულგრილად მოეკიდოს იმას, რაც ევროპაში და, კერძოდ, დასავლეთ გერმანიაში ხდება, რა მიმართულებით მიმდინარეობს მისი განვითარება. არ შეიძლება არ დავინახოთ, რომ თქვენს მეზობლად რევანშისტული წრეები კვლავ იძინენ ძალასა და გავლენას. ზოგ ვინმეს ხელი არ აუღია „დიდი გერმანიის“ შექმნის გეგმებზე და არ უნდა შეურიგდეს დამოუკიდებელი ავსტრიის სახელმწიფოს არსებობას.

ვფიქრობ ეს სიტყვები ისე არ ჩამომართვათ. თითქოს განზრახვა მქონდეს ავსტრია წავიყვანო დასავლეთ გერმანიას. რა შეიძლება იყოს ავსტრიელ ხალხსა და გერმანელ ხალხს შორის მეგობრობაზე უფრო ბუნებრივი, თუ ამ მეგობრობას საუფლოდ უდევს თანასწორუფლებიანობისა და სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის პატივისცემის პრინციპები. მაგრამ არც საბჭოთა ხალხმა, არც ავსტრიელმა ხალხმა არ უნდა დავიწყოს, თუ რას იწვევდა წარსულში გერმანული მილიტარიზმის აღორძინება.

თუმცა საბჭოთა ადამიანები ჰიტლერელებისაგან უფრო მეტად ფაზარალდნენ, ვიდრე სხვა ქვეყნების ხალხები, ჩვენ გერმანიის მიმართ ჩვენს პოლიტიკას საფუძვლად როდი ვუდებდით ეს. ჩვენ ხალხისათვის უცხოა გულდგარძლიანობა და შურისძიების გრძნობა. ჩვენ გვინდა მშვიდობით ვიცხოვროთ გერმანელ ხალხთან, ისევე როგორც სხვა ხალხებთან. საბჭოთა კავშირმა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან გულწრფელი მეგობრობის ურთიერთობა დაამყარა და კვლავაც განამტკიცებს და განავითარებს ამ ურთიერთობას. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ დასავლეთ გერმანიის მეგობრული ურთიერთობა ევროპის სხვა ხალხებთან შესაძლებელია მხოლოდ იმ საფუძველზე, რომ მან საფასებით აიღოს ხელი რევანშიზმსა და აგრესიაზე.

სწორედ ამიტომ საბჭოთა მთავრობამ წამოაყენა წინადადება, რომ დაიდოს საბავშო ხელშეკრულება გერმანიასთან და მის საფუძველზე გადაიკვრას დასავლეთ ბერლინის საკითხი. მოწესრიგება, რომელსაც ჩვენ ვითვალისწინებთ, ისახავს იმ მიზანს, რომ, ბოლოს და ბოლოს, აღმოიფხვრას მეორე მსოფლიო ომის ნაშთები და შეიქმნას რეალური საფუძველი ევროპაში მშვიდობის უზრუნველსაყოფად. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამ პრობლემის საუკეთესო მოწესრიგება იქნებოდა მისი გადაწყვეტა დასავლეთ სახელმწიფოებთან შეთანხმებულ საფუძველზე. მაგრამ, თუ დასავლეთის სახელმწიფოები ამას არ დაეთანხმებიან, დაინტერესებული სახელმწიფოები იძულებული გახდებიან საზავო ხელშეკრულება დადონ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან აქედან გამომდინარე ყველა შედეგით.

დასასრულ მინდა აღვნიშნო, რომ საბჭოთა კავშირსა და ავსტრიას შორის კეთილმეზობლური ურთიერთობა დამყარდა. ჩვენ დიდად ვაფასებთ ავსტრიის ნეიტრალიტეტს და განზე არ გავდგებით, თუ ეს ნეიტრალიტეტი ვინმემ დაარღვია.

უეჭველია, რომ რაც უფრო მტკიცე იქნება ჩვენი მეგობრობა, ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხის მეგობრობა, მით უფრო მტკიცე იქნება მშვიდობა.

ნება მიბოძეთ მადლობა გიძღვნათ გულითადი შეხვედრისათვის, სტუმართმოყვარეობისათვის და გისურვოთ წარმატებანი თქვენს ცხოვრებაში, ვუსურვოთ კეთილდღეობა თქვენს ქალაქსა და მის მცხოვრებლებს.

დაე განმტკიცდეს და განვითარდეს საბჭოთა კავშირ-ავსტრიის მეგობრობა.

ვსვამ ფედერალური კანცლერის სადღეგრძელოს. ვადღეგრძელებ ზალცბურგის მთავრობის მეთაურს, ქალაქის ბურგომისტრს, ყველა დამსწრეს!

## რ. პრასადი სამშობლოში გაემგზავრა

**ტაშკენტი**, 3 ივლისი. (საკდესი). დღეს საბჭოთა კავშირში ხუთი დღის კეთილნების ვიზიტად ყოფნის შემდეგ სამშობლოში გაემგზავრა ინდოეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი რაჯენდრა პრასადი.

საპატიო სტუმარი აეროდრომზე გააცილეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებმა შ. რ. რაშიდოვმა და შ. მ. არუშანიანმა, უზბეკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ი. ს. ნასრიდინოვმა, უზბეკეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ა. ალიმოვმა და სხვა ოფიციალურმა პირებმა.

## ინდოეთის პრეზიდენტის საჩუქარი

**ლენინგრადი**, 4 ივლისი. (საკდესი). დღეს აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების ვიტრინაში გაჩნდა ახალი ექსპონატები. ეს არის ინდოეთში გამოცემული ინდოეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწის მოჰანდას კარმჩანდ განდის (1869-1948) ცხოვრებისა და მოღვაწეობის აღწერის რვა ტომი. გამოცემას თან ახლავს წინასიტყვაობა, რომელიც ჯავაჰარლალ ნერუმ დაწერა.

ეს წიგნი ლენინგრადელ აღმოსავლეთმცოდნეებს აკადემიკოს ი. ორბელის სახელზე საჩუქრად გამოუგზავნა ინდოეთის პრეზიდენტმა რაჯენდრა პრასადმა.

სესიაზე, რომელიც ამას წინათ ჩატარდა, მკვეთრად იქნა გაკრიტიკებული ადგილობრივი საბჭოები და საპროექტო ორგანიზაციები, რომლებიც არ ზრუნავენ სოფლების განაშენიანებისა და მშენებლობის გენერალური გეგმის შედგენისათვის, აგრეთვე ის რაიონები, სადაც ტიპურ პროექტებს უგულებელყოფენ და საზოგადოებრივ ნაგებობათა მშენებლობას იწყებენ უპროექტოდ, რაც აძვირებს მშენებლობას, უკარგავს მას ლაზათს.

ხშირად ასეც ხდება. სოფელში იწყებენ ოზარმაზარი კულტურის სახლის მშენებლობას, კოლმეურნეობის კანტორისათვის ორი ან სამსართულიანი სასახლის აგებას, კულტურისა და ოასვენების პარკების გაშენებას და ავიწყდებათ, რომ არა აქვთ სკოლა-ინტერნატი, საბავშო ბაღი, საავადმყოფო, აბანო, წყალსადენი.

სოფლის მეურნეობის და კულტურული მშენებლობის დარგში ასეთი ნაკლოვანებანი ძირითადად იმის შედეგია, რომ ზოგან ადგილობრივი საბჭოები და მისი აღმასკომები ღრმად არ სწვდებიან საქმეს, ნაკლებ ყურადღებას უთმობენ საორგანიზაციო-მასობრივ მუშაობას, ხათაბადოდ არ იყენებენ მინიჭებულ უფლებებს, დროზე არ ამოწმებენ მიღებულ დადგენილებათა შესრულებას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიამ მიიღო დადგენილება, რომელშიც მკაფიოდ არის მოცემული სოფლის საბავშო და კულტურულ მშენებლობაში ადგილობრივი საბჭოების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებები. ეჭვი არ არის, ადგილობრივი საბჭოები, დეპუტატები, სოფლის მოელი აქტივი კიდევ უფრო გამოაცოცხლებენ მუშაობას. მჭიდროდ დარაზმავენ მშრომელებს იმ დიდი ამოცანების გადასაწყვეტად, რომლებიც დასახულია სოფლად სამეურნეო და კულტურული მშენებლობის აღმავლობისათვის და ამით გადადგამენ კიდევ ერთ მძლავრ ნაბიჯს კომუნიზმის მშენებლობის ნათელ გზაზე, მაღალი სამეურნეო და კულტურული წარმატებებით შეხვდებიან დიად დღესასწაულს — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავს!

## საკდესის ცნობა

**როგორც** ვიუწყებოდით, 1960 წლის 5-დან 31 ივლისამდე საბჭოთა კავშირში უნდა მოეწყოს კოსმოსური კვლევისათვის ახალი ვარიანტების მძლავრი მრავალსაფეხუროვანი მატარებელი რაკეტების გამოცდა.

დასახული გეგმის შესაბამისად 5 ივლისს გაშვებულ იქნა ერთ-ერთი ეს რაკეტა. რაკეტის სტარტი აღებულ იქნა ზუსტად დანიშნულ დროს. რაკეტის ფრენა ზუსტად შეესაბამებოდა დასახულ პროგრამას.

რაკეტის უკანასკნელი საფეხურის მაკეტმა, რომელიც მომარჯვებული იყო ატმოსფეროს მკვრივ შრეებში გასასვლელად, მიაღწია წყლის ზედა პირს უშუალო სიახლოვეს დასახული დაცემის წერტილისაგან, რომელიც სტარტის ადგილს დაშორებულია ცამეტი ათასამდე კილომეტრით. სპეციალურმა გემებმა, რომლებიც წყნარი ოკეანის ცენტრალურ ნაწილში არიან და აქვთ სხვადასხვა საზომი აპარატურა, მოაწყეს პროგრამით გათვალისწინებული ყველა გაზომვა და მიიღეს მნიშვნელოვანი შედეგები...

ექსპერიმენტული მონაცემების შემდგომი დაგროვების მიზნით ძლავრი ბალისტიკური რაკეტების გამოცდა გაგრძელდება. რაკეტების დაცემა მოხდება იმ ზონის საზღვრებში, რომელიც გამოცხადებულია საკდესის ამა წლის 29 ივნისის ცნობაში.

## ღაშქრობა 145 ათასი ტონა ჩაისათვის!

### „ცოცხალი კომბაინი“

ემინე ზაქარიაძეს ქობულეთის რაიონში იცნობენ როგორც მუყაოთ და შრომისმოყვარე კოლმეურნეს. მან სახელი გაითქვა ჩაის უხვი მოსავლის მოყვანით. წელს ემინე უვლის 0,6 ჰექტარ ჩაის პლანტაციას და იკისრა მოკრიფოს 8 ტონა ჩაის ფოთოლი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 4.500 კილოგრამისა. ჩაის ფოთლის მამაცი მკრეფავი ენერგიულად მუშაობს ვალდებულების გასანაღდებლად. დღეში საშუალოდ 132 კილოგრამ ჩაის ფოთოლს კრეფს, დღიური დავალება კი 30 კილოგრამს ითვალისწინებს. ამას წინათ მან ერთ დღეში 227 კილოგრამი მოკრიფა. ემინეს თანასოფლელებმა „ცოცხალი კომბაინი“ შეარქვეს.

**დ. დიასამიძე.**
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ხელს არ აჩერებს ლორთქო ფოთლის მოსაკრეფად, ერთი კალათა უკვე აუვსია „მწვანე ოქროთი“, მეორე კი წელზე ჰკიდია და იმასაც მალე გადაცლის.

— ვინ არის ეს პირცქრიალა ქალი? — იკითხავთ ალბათ.

— თამარ გაბელია, ცხაკაიას რაიონის სოფელ უშაფათის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მკრეფავი.

**სურათზე:** მოწინავე მკრეფავი თამარ გაბელია.

ფოტო ს. კილაძისა.
(საკდესის ფოტოქრონიკა).

### გუშინ ჩაის პლანტაციებში

★ **წულუკიძე.** წულუკიძის სახელობის კოლმეურნეობამ უკვე შეასრულა ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა. მოკრიფა და სახელმწიფოს მიჰყიდა 19.077 კილოგრამი ჩაის ფოთოლი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 19.000 კილოგრამისა. მეორე ბრიგადის მეჩაიემ თინა სანოძემ ერთ დღეს მოკრიფა 60 კილოგრამი ჩაის ნედლეული. სულ მოკრეფილი აქვს 1.500 კილოგრამზე მეტი. თამარ წვერავამ ჩაის კრეფის დღიური ნორმა სამმაგად შეასრულა, მაის-ივნისის გეგმის გადამეტებით მოკრიფა 700 კილოგრამამდე ჩაის ფოთოლი.

### რამდენი კილოგრამი ჩაი მოკრიფეთ?

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სტატისტიკური სამმართველოს უკანასკნელი ცნობებით მაის-ივნისში სულ რესპუბლიკაში მოკრეფილია 77.190 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, გეგმა კი ითვალისწინებდა 64.900 ტონას, ე. ი. ორ თვეში გეგმის გადამეტებით დამზადდა 12.290 ტონა ჩაის ნედლეული.

მეჩაიეობის ბევრი რაიონი წელს ჩაის დიდ მოსავალს იღებს. **მახარაძის** რაიონმა მაის-ივნისში, ნაცვლად 13.155 ტონისა მოკრიფა 16.441 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი და ორი თვის გეგმა ვადაზე ადრე 125 პროცენტით შესრულა, **ქობულეთის** რაიონმა ნაცვლად 8.857 ტონისა — 10.460 ტონა, გეგმა შეასრულა 125,2 პროცენტით, **ჩოხატაურის** რაიონმა ნაცვლად 2.015 ტონისა — 2.546 ტონა, გეგმა შეასრულა 126,4 პროცენტით, **ლანჩხუთის** რაიონმა ნაცვლად 3.260 ტონისა, — 4.278 ტონა, გეგმა შეასრულა 118,2 პროცენტით...

კარგი მაჩვენებლები აქვთ **აფხაზეთისა** და **აჭარის** ავტონომიურ რესპუბლიკებს. აფხაზეთმა მაის-ივნისში ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 10.228 ტონისა 12.945 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოკრიფა და ორი თვის გეგმა 126,6 პროცენტით შესრულა, აჭარამ ნაცვლად 11.360 ტონისა — 13.815 ტონა და გეგმა 121,9 პროცენტით შეასრულა.

მაგრამ სამწუხაროა, რომ, მოწინავეებთან ერთად, ჯერ კიდევ გვყავს ჩამორჩენილებიც. მაგალითად, **აბაშის** რაიონმა ჩაის კრეფის მაის-ივნისის გეგმა ვერ შეასრულა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლა

## მეტალურგიულ ქარხანა „ფესტის“ დირექციისა და მუშეგის წარმომადგენლებთან შეხვედრისას ქ. ლინცში 1960 წლის 4 ივლისს

პატივცემულო ბატონო ფედერალური კანცლერო!

პატივცემულო ბატონო ვიცე-კანცლერო!

პატივცემულო ზემო ავსტრიის მხარის მთავრობის მეთაურო, სადაც ჩვენ ვიმყოფებით და სადაც ასე კარგად გვხვდებიან!

ცხადია, ჩვენ ვერ დავიიწყებთ ვერც პატივცემულ ბატონ ბურგომისტრს.

პატივცემულო ბატონო ქარხნის გენერალურო დირექტორო!

პატივცემულო ქარხნის მთავარო ინჟინერო! მაგრამ მას აქ რაღაც ვერ ვხედავ. (ნ. ს. ხრუშჩოვს უჩვენებენ, თუ სად ზის მთავარი ინჟინერი.) აი ხედავთ, სად ჩაუმალავთ იგი. ჩვენში კი ასეთ ადამიანებს პირველ ადგილებზე სხამენ. ეს ხომ, ხატოვნად რომ ვთქვათ, საწარმოს ტვინია. მაგრამ არ მინდა ჩაგერიო თქვენს შინაურ წესებში. **(სიცილი, ტაში).**

ნება მიბოძეთ მივესალმო აგრეთვე თქვენი საწარმოს ყველა ინჟინერს, ტექნიკოსს, მუშასა და მოსამსახურეს და ვუსურვო წარმატება მუშაობაში.

მინდა უწინარეს ყოვლისა მადლობა ვუძღვნა გენოსე — ბატონ პიტერმანს კეთილი სიტყვებისათვის, რომლებიც მან თქვა ჩვენი მისამართით. მე ძალიან კმაყოფილი ვარ ამ მოგზაურობით და ვფიქრობ, ჩემი ამხანაგები მეთანხმებიან. ჩვენ განსაკუთრებით სტუმართმოყვარულად გვიღებს როგორც ფედერალური მთავრობა, ისე ზემო ავსტრიის მხარის მთავრობა, მთელი ავსტრიელი ხალხი — გლეხები, მუშები, ინტელიგენცია, ერთი სიტყვით, ყველანი, ვისაც ჩვენ ვხვდებით. უკეთეს რამეს ჩვენ ვერც ვისურვებთ. ცოდვა იქნებოდა რაიმე გვწყინდეს, რადგან თქვენთან ძალიან კარგად ვგრძნობთ თავს. **(მქუხარე ტაში).**

თქვენმა ქარხანამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე და ჩემს მეგობრებზე. ათი წლის მანძილზე ქარხანას დიდად გაუზრდია ფოლადის გამოდნობა — ორასი ათასი ტონიდან ორ მილიონ ტონამდე. ეს კარგია. ავსტრია კაპიტალისტური ქვეყანაა, ჩვენ კი სოციალისტური ქვეყნის წარმომადგენლები ვართ. ჩვენ მიგვაჩნია, რომ თქვენი ქარხნის წარმატების 70 პროცენტი დაკავშირებულია ჩვენთან, ესე იგი ჩვენს სოციალისტურ ქვეყანასთან. **(მხიარული გამოცოცხლება, ტაში).** და ეს თითქოს იმის დემონსტრაციაა, თუ როგორ შეიძლება განვითარდეს მეურნეობა, კიდევაც რომ ეყრდნობოდეს არა სოციალისტურ საწყისებს, როცა იგი თანამშრომლობს სოციალისტურ სახელმწიფოსთან, იმის დემონსტრაცია, რის მიღწევა შეუძლია ხალხს, რის მიღწევა შეუძლიათ მუშათა კლასს, მშრომელ გლეხობასა და ინტელიგენციას. ჩვენ კაპიტალისტებსაც ვაღებინებთ მონაწილეობას სხვადასხვა წყობილების სახელმწიფოთა ეკონომიურ თანამშრომლობაში მშვიდობიანი თანაარსებობის საფუძველზე. **(მხიარული გამოცოცხლება, ტაში).**

მოდით გულახდილად ვილაპარაკოთ. ვინ არის დაინტერესებული ავსტრიის ინდუსტრიის განვითარებით? ამერიკის შეერთებული შტატები? არა! დასავლეთი გერმანია? არა! ინგლისი? არა! საფრანგეთი? აგრეთვე არა! რატომ არ არიან ისინი ამით დაინტერესებული? იმიტომ, რომ თუ თქვენში განვითარდა ინდუსტრია — მეტალურგია, მანქანათმშენებლობა, ქიმია და მრეწველობის სხვა დარგები, მაშასადამე, თქვენ სულ უფრო გაზრდით ძალებს ამ ქვეყნებთან საკონკურენციოდ. კაპიტალისტების თვალსაზრისით, მათთვის ხელსაყრელი არ არის დახმარება გაგიწიონ ისე, რომ თქვენ უფრო კონკურენტუნარიანი იყოთ ბაზრებისათვის ბრძოლაში. კაპიტალისტებს ეს კარგად ესმით; სოციალისტებსაც კარგად ესმით ეს ჭეშმარიტება. **(ტაში).**

საბჭოთა კავშირი კარგად თანამშრომლობს ავსტრიასთან ეკონომიკის დარგში. ჩვენ განზრახული გვაქვს კვლავაც განვავითაროთ ეს ურთიერთ სასარგებლო თანამშრომლობა. **(მქუხარე ტაში).** გინდათ, მოგცემთ შეკვეთებს, რომ დაამზადოთ კონვერტერები ფოლადის წარმოებისათვის იმ მეთოდით, რომელიც თქვენ გამოიგონეთ? **(მოწონების შეძახილები, მქუხარე ტაში).**

(ბ. პიტერმანი უწვდის ნ. ს. ხრუშჩოვს ფურცელ ქაღალდს თითქოს იმისათვის, რომ მან ხელი მოაწეროს ასეთ შეკვეთებს. ნ. ს. ხრუშჩოვი აპირებს გამოართვას ქაღალდი, მაგრამ პიტერმანი ქაღალდს ჯიბეში იდებს.)

**ნ. ს. ხრუშჩოვი** ეუბნება პიტერმანს: „თქვენ გინდოდათ ჩემი შეშინება? გეგონათ შევშინდებოდი და ხელს არ მოვაწერდი? გამოდის კი, რომ თქვენ თვითონ შეშინდით და ქაღალდიც კი დამალეთ ჯიბეში. **(მხიარული სიცილი, ტაში).** ჩვენ, კომუნისტები, თუ ვიტყვით სიტყვას, მას აღარ გადავუხვევთ, ‘ხოლო ინ სოციალისტებმა. როგორც ხედავთ, გადაუხვიეს“. **(მხიარული გამოცოცხლება, ტაში).**

**ბ. პიტერმანი.** საჭიროა ფასის გადახდა.

**ნ. ს. ხრუშჩოვი.** ჩვენც გადავიხდით! ჩვენ მშრომელი ადამიანები ვართ, ჩვენი კუნთებით, ჩვენი ნервებით და ჩვენი ტვინის მოქმედებით ვცხოვრობთ. ამიტომ მშრომელ კაცს — მუშას, გლეხს აზრადაც არ მოუვა, რომ არ იშრომოს. მხოლოდ შრომა აძლევს მას ცხოვრების შესაძლებლობას. და მშრომელ ადამიანებს ჩვენს ქვეყანაში დიდ პატივს სცემენ. **(ტაში).**

ნება მიბოძეთ მოვიყვანო ასეთი მაგალითი. მე საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე არა მამაჩემის კაპიტალების, არა იმის წყალობით ვარ დაწინაურებული, რომ სხვადასხვა სასწავლებელში მესწავლოს. უნივერსიტეტები მე ისე გავიარე, როგორც გორკიმ: თვით ცხოვრება იყო ჩემი უნივერსიტეტი. ბავშვობაში მუშაობა მომიხდა მემამულესთან, შემდეგ ვმუშაობდი შახტში, ქარხნებში. რევოლუციამ ჩვენ, ყველა მშრომელ ადამიანს ჩვენს ქვეყანაში გაუხსნა განათლების, მეცნიერების გზა. და აი მე ასეთი რევოლუციური წინსვლის ერთ-ერთი მაგალითი ვარ. **(ტაში).**

მამაჩემი მეშახტე იყო, პაპა — მემამულის ყმა, შვილიშვილი კი გავხდი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, ამასთან არა რომელიღაც სახელმწიფოს, არამედ მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ქვეყნის — ჩვენი დიადი საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე. **(მქუხარე ტაში).** სოციალისტურმა რევოლუციამ, სოციალიზმმა მოუტანა ჩვენს ხალხს დიადი მონაპოვარნი, გახადა საბჭოთა ადამიანები თავიანთი ქვეყნის სრულუფლებიანი ბატონ-პატრონნი. ჩვენში ხალხი ქმნის ყველა ფასეულობას, ხალხივე განაგებს სახელმწიფოს, ხალხის წიაღიდან გამოსულ ადამიანებს აყენებს ყველაზე პასუხსაგებ პოსტებზე. აი ეს არის რევოლუცია, აი ეს არის სოციალიზმი. **(მქუხარე ტაში).**

ახლა ვილაპარაკოთ ჩვენს ურთიერთობაზე თქვენს მთავრობასთან. ჩვენ კმაყოფილი ვართ ჩვენი ურთიერთობით ავსტრიის ფედერალურ კანცლერ ბატონ რაბბთან. არ ვიცით, თქვენ რას იტყვით ბატონო კანცლერო, მაგრამ ვფიქრობ, თქვენც კმაყოფილი ხართ, თუმცა მე და თქვენ ერთ პარტიას არ ვეკუთვნით. არ ვიტყვი რომელ პარტიას ვეკუთვნი, მაგრამ სოციალისტი არა ვარ. **(მხიარული გამოცოცხლება).** ერთ საიდუმლოს გაგიმეღლავნებთ — არც თქვენს სახალხო პარტიაში ვარ. **(მხიარული სიცილი).** რომ არ თქვან ჩემზე, პროპაგანდას ეწევაო, არ ვიტყვი რომელ პარტიას ვეკუთვნი, მაგრამ მტკიცედ შემიძლია ვთქვა, რომ ეს საუკეთესო პარტიაა. **(მხიარული გამოცოცხლება. ტაში).**

**ბ. პიტერმანი.** ჩვენში ამბობენ, ავსტრიაში უკეთესად მიაჩნია თავი მათ, ვინც ცოტანი არიანო.

**ნ. ს. ხრუშჩოვი.** სოციალისტური სამყაროო ჯერჯერობით დედამიწის მოსახლეობის ერთი მესამედია, ხოლო კაპიტალისტური — ორი მესამედი. მაშასადამე, თქვენი თეორიითაც, ჩვენ უკეთესნი ვყოფილვართ. **(მხიარული სიცილი. ტაში).**

ახლა ნება მიბოძეთ მადლობა გიძღვნათ თქვენ, ბატონო ფედერალურო კანცლერო, თქვენ, ბატონო ვიცე-კანცლერო, ზემო ავსტრიის მხარის მთავრობის მეთაურს, ქარხნის მუშებს, ინჟინრებსა და მოსამსახურეებს კარგი მიღებისათვის და გულითადი მადლობა მოგახსენოთ ამისათვის.

მოგილოცავთ შესანიშნავ საწარმოო წარმატებებს, რომლებიც მიღწეულია მეცნიერული აზრისა და ინჟინერთა და მუშათა ტალანტის განვითარების მეოხებით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თქვენი წარმატებანი ჟანგბადით ბერვის კონვერტერების შექმნაში. ეს დიდი წვლილია მეტალურგიის განვითარებაში. ჭუდი უნდა მოვიხადოთ და თავი დავუკრათ მათ, ვინც ეს გააკეთა. **(მქუხარე ტაში).** ჩვენ თანახმა ვართ ვაწარმოოთ თქვენთან მოლაპარაკება, დავდოთ შეთანხმება და მოგცეთ შეკვეთა კონვერტერების საწარმოებლად ჩვენი მეტალურგიისათვის. თუ არა გსურთ, — ჩვენ თვითონ გავაკეთებთ: გამოგონება, ბუნებრივია, უფრო ძნელია, ხოლო პირის გადღება თვალზომითაც კი შეიძლება, ინჟინერი უცბად მოიასაზრებს. მაგრამ ჩვენ ვაფასებთ და პატივს ვცემთ ადამიანთა შრომას და მზად ვართ ავანაზღაუროთ შეკვეთის ღირებულება და წაგახალისოთ ამ ახალი ხერხის გამომგონებელი.

თქვენი ქარხანა ძალიან მომეწონა. იგი კარგად არის განლაგებული, დუნაიზე, — მოხერხებული სატრანსპორტო პირობები. პირდაპირ შესანიშნავი პირობებია. არ შევეხები მუშათა ცხოვრების პირობებს, არ ვილაპარაკებ მათ ხელფასზე — ეს სოციალური საკითხებია, ასე ვთქვათ. თქვენი საშინაო საქმე. თორემ იტყვით, აი მოვიდა ხრუშჩოვი და, თუმცა იგი არ ეკუთვნის იმ პარტიებს, რომლებსაც ეკუთვნიან კანცლერი და ვიცე-კანცლერი, მიუხედავად ამისა კარგ აზრს გამოთქვამს ქარხნის მუშათა ცხოვრების პირობების შესახებო. მუშები თავიანთ მდგომარეობას ასე უყურებენ: (ეს ჩემი ცხოვრების გამოცდილებით ვიცი) რაც უფრო მეტი შემოსავალი აქვს მუშას, რაც უფრო მოკლეა მისი საშუალო დღე, — მით უკეთესია მუშის მდგომარეობა. **(მხიარული გამოცოცხლება. ტაში).** რას ფიქრობენ კაპიტალისტები? რაც უფრო ნაკლებს უხდის მუშას, რაც უფრო მეტი სამუშაო დღე აქვს მას, — მით უკეთესია კაპიტალისტებისათვის. აი სწორედ აქ არის ძირეული განსხვავება.

— მე ყოფილი მუშა ვარ და ამიტომ ყოველთვის მუშა მახსოვს. აი შეხედეთ რა გავაკეთეთ ჩვენ საბჭოთა კავშირში: შევამცირეთ საშუალო დღე 8 საათიდან 7 საათამდე, ხოლო მეშახტეებისა და მძიმე პროფესიების მუშებისა — 7-დან 6 საათამდე. **(ტაში).** 1964 წელს ჩვენ შვიდი საათის სამუშაო დღიდან გადავალთ ექვსი საათის საშუშაო დღეზე, ხოლო მძიმე პროფესიების მუშები გადავლენ ექვსი საათის სამუშაო დღიდან ხუთი საათისაზე. ამავე დროს გაიზრდება ხელფასი. აი სწორედ ეს არის სოციალიზმი, ნამდვილი სოციალიზმი და არა ყინულზე დაწერილი. ზოგიერთი კი წერს სოციალიზმზე, მაგრამ თვითონ უფრო ეშინია მისი, ვიდრე ეშმაკს ჯვრისა. **(მხიარული გამოცოცხლება. ტაში).**

მინდა დავამთავრო ჩემი გამოსვლა იმით, რომ გთხოვთ არ გამიჯავრდეთ, თუ რითმე ვაწყენე ვინმე თქვენგანს. მე არ მინდოდა გადავცდენოდი საზღვარს, მაგრამ ზოგიერთი პირდაპირობა რეპლიკებით გამოიწვიე. ჩვენ ძალიან ვაფასებთ იმ ურთიერთობას, რომელიც ჩვენს ქვეყნებს შორის დამყარდა, და არ მინდოდა თუნდაც ოდნავი ზიანი ან წყენა მიეყენებინა. ვისთვისმე. თუ მაინც ეწყინება ვინმეს, მზად ვარ ბოდიში მოვიხადო, რადგან ჩემი ერთადერთი მიზანია ხელი შეეწყო იმ კარგი, მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებას, რომელიც ჩვენს ქვეყნებს შორის დამყარდა. **(მქუხარე ტაში).**

რაც შეეხება კამათს ფედერალურ კანცლერსა და მის მოადგილეს შორის, ეს თქვენი საშინაო საქმეა, თქვენ თვითონვე მოაგვარეთ იგი. საქმე ჩვენს ქვეყნებს შორის კარგად მიდის, ხოლო რომელი თქვენგანი რა გზას ადგას, განა ეს ჩვენი საქმეა? შესაძლოა, ვიცე-კანცლერს კანცლერად გახდომა სურდეს, ხოლო ფედერალურ კანცლერმა, რა თქმა უნდა, ეს არა სურს; მაგრამ ეს თქვენი საქმეა. **(მხიარული გამოცოცხლება. ტაში).**

ნება მიბოძეთ კიდევ ერთხელ გადავუხვიოთ ცოტათი იმ წესს, რომელიც თქვენში არის. მინდა, ისევე როგორც ამას ჩვენ, საბჭოთა კავშირში ვაკეთებთ, ვადღეგრძელო უწინარეს ყოვლისა მუშათა კლასი. მშრომელი გლეხობა, ინტელიგენცია, რადგან ისინი ქმნიან მთელ მატერიალურ და სულიერ ფასეულობებს. მთელი კაცობრიობა იმით ცხოვრობს, რასაც ქმნიან მშრომელი ადამიანები, რომელნიც აუმჯობესებენ ცხოვრებას, აშენებენ ფაბრიკებს, ქარხნებს, ელექტროსადგურებს, საცხოვრებელ სახლებს, აწარმოებენ სხვადასხვა საქონელს, წინ მიჰყავთ მეცნიერება, კულტურა. და მე ვადღეგრძელებ სწორედ მათ, მშრომელ ადამიანებს, ყოველივე იმის შემქმნელებს, რითაც კაცობრიობა ცხოვრობს. მათ ეფუთვნით მთელი პატივისცემა. მერმე კი შეიძლება ჩვენი სადღეგრძელები. ამ შემთხვევაში ვადღეგრძელებ ფედერალურ კანცლერს ბატონ რაბბს, ვიცე-კანცლერს ბატონ პიტერმანს, ზემო ავსტრიის მხარის მთავრობის მეთაურს, ბატონ ბურგომისტრს, ბატონ ქარხნის გენერალურ დირექტორს.

თქვენ ინჟინერი ხართ? — მიმართავს ნ. ს. ხრუშჩოვი ქარხნის დირექტორს.

**ვ. პიტციინგერი.** დიახ, სამწუხაროდ.

**ნ. ს. ხრუშჩოვი.** ნუ ნანობთ ამას. მომავალი ეკუთვნის მუშათა კლასს, მშრომელ ადამიანებს, მათ შორის ინჟინერებსაც. ინჟინერები ხომ გონებრივი შრომის მუშათა ლასია. ასე რომ თქვენ უნდა იამაყოთ იმით, რომ ინჟინერი ხართ, ნუ ნანობთ.

**ვ. პიტციინგერი.** ბატონი რაბბიც ინჟინერია.

**ნ. ს. ხრუშჩოვი.** ბატონი ფედერალური კანცლერი ამბობს, მე ინჟინერი ვარ, მაგრამ ამავე დროს ამბობს „პატარა კაპიტალისტიც“ ვარო. **(მხიარული გამოცოცხლება).**

ვთხოვ ყველას, ვინც ჩემს სადღეგრძელოს ეთანხმება, მხარი დამიჭიროს, შემომეერთდეს. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

«აგიტატორის გლოკნოტის» ფურცლებზე

## შთამაგონებელი მაგალითი

**ჩვენი** ქვეყნის იდეური ცხოვრების შესამჩნევ გამოცოცხლებას მნიშვნელოვნად შეიწყვეს ხელი იდეოლოგიურ საკითხებზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ უკანასკნელ ხანებში მიღებულმა დადგენილებებმა.

ხელმძღვანელობს რა დიდი ლენინის მითითებით იმის შესახებ, რომ რაც უფრო მაღალია მშრომელთა პოლიტიკური შეგნებულობის დონე, მით უფრო დიდია მათი ინიციატივა და შემოქმედებითი აქტივობა, საქართველოს კომპარტიის ერთ-ერთმა უძველესმა და მოწინავე რაზმმა — თბილისის პარტიულმა ორგანიზაციამ ამ პერიოდში საagიტაციო მუშაობის მნიშვნელოვანი გაჯანდება შეიძინა.

ამიტომ კარგად მოიქცა ჟურნალი „აგიტატორის ბლოკნოტი“, როცა თავისი მიმდინარე წლის ივნისის ნომერი (მეთორმეტე) თითქმის მთლიანად თბილისის პარტიული ორგანიზაციის საagიტაციო მუშაობის გამოცდილებას მიუძღვნა.

ნომერში დაბეჭდილია სტატიები: საქართველოს კპ თბილისის კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის მ. გაფრინდაშვილისა — „მრავალფეროვანი, ცხოვრებასთან მჭიდროდ დაკავშირებული პოლიტიკური აგიტაციისათვის“, თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელექტრომავთულსაშენებლო ქარხნის პარტბიუროს მდივნის ს. სარიშვილისა—„მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა ჩვენს ქარხანაში“, თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატის აგიტატორთა სკოლის ხელმძღვანელის ა. დანელიასი — „აგიტატორთა აღზრდის მნიშვნელოვანი ფორმა“, თბილისის ფეხსაცმლის № 1 ფაბრიკის აგიტატორის ლ. მელეხოვასი — „იყო აგიტატორი — საპატიო საქმეა“.

— 868 აგიტკოლექტივში გაერთიანებული თოთხმეტ ათასზე მეტი აგიტატორი, ასობით პოლიტიკური მომხსენებელი, ლექტორი და პროპაგანდისტი ეწევა პოლიტიკურ აგიტაციას ქალაქის მშრომელთა შორის, — ნათქვამია ამხ. მ. გაფრინდაშვილის სტატიაში. — მათგან ბევრია ხელმძღვანელი მუშაკი...

მთელი რიგი პარტიული ორგანიზაციები შვიდწლიანი გეგმის ამოცანათა პროპაგანდისათვის ფართოდ იყენებენ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ისეთ ფორმებს, როგორიც არის თვალსაჩინო აგიტაცია, ძირეული პრესა, მუდმივმოქმედი აგიტპუნქტები, კითხვა-პასუხის საღამოები და სხვ.

მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის იდეური დონე ახლა უფრო მაღალია; იგი უკეთ არის დაკავშირებული ცხოვრებასთან, სამეურნეო და პოლიტიკურ ამოცანებთან. აგიტატორთა უმრავლესობა [illegible] ეკავშირება [illegible] ინ[illegible] ... ბევრგან [illegible] აგიტატორთა [illegible] ... ბევრი. ბევრგან [illegible] აგიტატორთა [illegible]. მთელ ჩვენს რესპუბლიკაში დიდი გამოძახილი ჰპოვა პარტიული თბილისის კომიტეტის მიერ მოწყობილმა ლენინის საღამოებმა. გამოყენებულია მოწინავე გამოცდილებისა და მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის პროპაგანდის სხვადასხვა ფორმები, მათ შორის კულტურის უნივერსიტეტები, საბუნებისმეტყველო და ტექნიკური მეცნიერებათა უნივერსიტეტი, „მუსიკალური უნივერსიტეტი“.

აგიტატორები და პროპაგანდისტები სისტემატურად ეწევიან კომუნისტურ შრომის ბრიგადების მუშაობის მეთოდებისა და ხერხების გავრცელება-დანერგვას.

მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა მშრომელთა, განსაკუთრებით ახალგაზრდობის, აღზრდა კოლექტივიზმის, ხალხთა მეგობრობის, პატრიოტიზმის, კომუნისტური მორალის სულისკვეთებით, ბურჟუაზიულ იდეოლოგიის ყოველგვარი გამოვლინებისა და ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის გადმონაშთების წინააღმდეგ ბრძოლის სულისკვეთებით. ამ მიზნით თბილისს პარტიული ორგანიზაციები ფართოდ იყენებენ პოლიტიკური მუშაობის სხვადასხვა ფორმას, განსაკუთრებით კი ლექციურ პროპაგანდას. საagიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობა დღითიდღე ძლიერდება საბჭოთა საქართველოს და საქართველოს კომპარტიის 40 წლისთავის დღესასწაულისათვის მზადებასთან დაკავშირებით.

ქალაქ თბილისში, ისევე როგორც მთელ ჩვენს სამშობლოში, ფართოდ გაშალა საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრება სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის შესახებ. საწარმოთა და მშენებლობათა კოლექტივები ენერგიულად იბრძვიან შვიდწლედის მეორე წლის ხაწარმოო პროგრამის შესასრულებლად. ამას ნათელყოფს ქალაქის მრეწველობის მიერ წლის პირველი ნახევრის გეგმის ვადამდე წარმატებით შესრულება.

შვიდწლედის ახალი ზღუდის ასაღებად მოპოვებულ გამარჯვებებში არის ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის აგიტატორთა და პროპაგანდისტთა წვლილიც, რასაც მკითხველი ჟურნალ „აგიტატორის ბლოკნოტის“ წინამდებარე ნომრის ფურცლებზე ეცნობა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახვედრად

# მეცნიერული აზრი მაღტეგზე



**პროფ. ა. ძიძიგური,**
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გ. წულუკიძის სახელობის სამთო საქმის ინსტიტუტის დირექტორი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი.

**საგმოთა** კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას მომდინარე შვიდწლედში სამთო მრეწველობის ზრდა წარმოადგენს.

საქართველო მდიდარია სასარგებლო წიაღისეულით; ჩვენს რესპუბლიკაში გვხვდება ქვანახშირის, ნავთობის, მანგანუმის, ბარიტის, მარმარილოს, გუმბრინის, ასკანიტის, მრავალფეროვნიანი მადნეულის და სხვა წიაღისეულის საბადოები.

ამ საბადოების დიდი ნაწილი რთული გეოლოგიური და სამთო-ტექნიკური პირობებით ხასიათდება. ამიტომ მათი რაციონალურად დამუშავება მრავალი საკითხის ძირფესვიან კვლევასა და ორიგინალურად გადაწყვეტას მოითხოვს. ამით არის განპირობებული ის დიდი ამოცანები, რომლებიც დასმულია ჩვენი სახალხო მეურნეობის მიერ საქართველოს სამთოელთა და, უპირველეს ყოვლისა, მეცნიერ მუშაკთა წინაშე.

ჩვენს რესპუბლიკაში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამთო საქმის ინსტიტუტი ძირითადი სამეცნიერო-საკვლევი ორგანიზაციაა სამთო დარგში. თავისი არსებობის ორი წლის განმავლობაში ინსტიტუტის 8 ლაბორატორიამ დაამუშავა, წარმოებას გადასცა და გამოაქვეყნა რამდენიმე ათეული შრომა.

ინსტიტუტის სამეცნიერო საქმიანობა ძირითადად მიმართულია სამთო მეცნიერების მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრისაკენ, ჩვენი რესპუბლიკის სამთო მრეწველობის განვითარებისაკენ. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის შემდეგ წარმოებაში დაინერგა ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ შექმნილი ახალი კონსტრუქციის რკინაბეტონის ბლოკების ამწყობ-გადასატანი აგრეგატი. ეს დანადგარი სამუშაოებს იძლევა მექანიზებულად დაიდგას დიდი ზომის რკინაბეტონის ასაწყობი სამაგრი და მექანიზებულადვე განხორციელდეს მონგრეული ქანის დატვირთვა.

საპროექტო ორგანიზაციებს განსაზღვრულებლად გადაეცა სამგზავრო საჰაერო-საბაგირო გზების ავტომატურად მართვის სქემა, რომელსაც საფუძვლად დაედო ორიგინალური კონსტრუქციის ცენტრიდანული ამძრავიანი მუხრუჭი, დამუშავებული ქართველ მკვლევართა მიერ.

ტყიბულის შახტებში დიდი სამუშაოები შესრულდა მცირედ დაყოვნებული აფეთქების ხელსაყრელი პარამეტრების ძიებისა და მათი ფართოდ გამოყენებისათვის. ამით მიღწეულია მფეთქი მასალის დიდი ეკონომია, გვირაბის გაყვანის ტემპის ზრდა, მეტი უსაშიშრობა.

ჰიათურის მაღაროებში დადებითად გადაწყდა საკითხი მადნის სახესხვაობათა განცალკევებული გამოღებისა საშუალო სისქის ფენების დამუშავების დროს. ამჟამად ინსტიტუტი ამ საკითხზე აწარმოებს საცდელ-სამრეწველო ცდებს ჰიათურის მაღაროებში გადიდებული სისქის ფენების დამუშავების დროს. ინსტიტუტის მიერ შემუშავებული მეთოდების პრაქტიკულად განხორციელება საგრძნობლად შეამცირებს მადნის გაღარიბებას და გააუმჯობესებს გამდიდრების პროცესს.

ორი წელიწადია ინსტიტუტის თანამშრომლები მუშაობენ თემაზე „სხვადასხვა მეთოდებით ტყიბულის საბადოს სქელი ფენის დამუშავების დროს ნახშირის დანაკარგების განსაზღვრა და მათი შესამცირებელი საშუალებების გამონახვა“. გამორკვეულია ნახშირის დანაკარგების გამომწვევი ძირითადი მიზეზები, დადგენილია დამუშავების მეთოდებთან დაკავშირებით ნახშირის დანაკარგების ცალკეული სახეები, დასახულია ღონისძიებები ნახშირის დანაკარგების შესამცირებლად.

ამჟამად ინსტიტუტი მუშაობს ტყვარჩელისა და ტყიბულის ქვანახშირის საბადოებში სქელ ფენათა დამუშავების ეფექტური სისტემების შერჩევაზე, სამრეწველო გამოცდასა და დანერგვაზე. უკვე შედგენილია ტყვარჩელის ორი შახტის სქელ ფენის დამუშავების პროექტი. სამრეწველო პირობებში გამოცდილია ფარი, რომლის გამოყენება ტყვარჩელის შახტებისათვის ფენის 35-45°-ით დახრისა და საშუალო მდგრადობის ჭერის შემთხვევაში განიდის მოპოვების ტექნიკურ-ეკონომიურ მაჩვენებლებს და უზრუნველყოფს მიწისქვეშა სამუშაოების მეტ უსაშიშრობას.

ინსტიტუტში მუშავდება რამდენიმე თემა გვარაბების გამაგრების საკითხებზე. ამ მხრივ უნდა აღინიშნოს ის კვლევანი, რომელნიც ტარდება ეიფფელიანი და მარტივი შტანგური სამაგრის გამოყენების მიზნით ჭიათურის მაღაროებსა და ტყვარჩელის შახტებში. სამაგრის ეს სახე საშუალებას გვაძლევს დიდად შეგვიცროთ დეფიციტური ხისა და ლითონის სამაგრის ხარჯი, გვირაბების გაყვანისა და რემონტის ღირებულება და გავზარდოთ გაყვანის ტემპები.

ინსტიტუტის კვლევის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს მაღაროს გაზაეროდინამიკა, სტაციონარული დანადგარების ნორმალური ექსპლოატაცია და შახტების ვენტილაცია.

როგორც ზემოთ აღინიშნეთ, საქართველოს საბადოთა დიდი ნაწილი ხასიათდება რთული სამთო-ტექნიკური პირობებით. ეს კი ხშირად ხელს უშლის საქართველოს შახტებში მაღალეფექტური სერიული მომგებიანი, დამტვირთავი და სატრანსპორტო მექანიზმების გამოყენებას. ამიტომ აუცილებელია გამაჯილებულია ჩვენი შახტებისათვის შესაფერი სამთო მანქანების შექმნისა და არსებული მანქანების ცალკეული კვანძების გადაკეთებისაკენ. ინსტიტუტს ლაბორატორიაში უკვე დამთავრდა ზედა მოხვეტის პრინციპზე მომუშავე დამტვირთავი მანქანის მოდელის შექმნა. ამჟამად მიმდინარეობს მისი ლაბორატორული გამოცდა, ამასთან ტყიბულის შახტებსა და ჭიათურის მაღაროებში გრძელდება ელვეკა-ძიება ზედაპირული კომპლექსის ავტომატიზაციისა და მექანიზაციის საკითხებზე.

ერთ წელზე მეტია ინსტიტუტი მუშაობს ლიფტობიოლიტების ნახშირიროვანი მასისაგან გამოყოფის საკითხზე. ლიფტობიოლიტი, როგორც ქართველ მკვლევართა მიერ არის დადგენილი, წარმოადგენს პლასტმასების მასაღებ ნედლეულს. მაგრამ ჯერჯერობით საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გამოიყოს ლიფტობიოლიტი სამთო ქანებისა და ნახშირისაგან, ხოლო შემდეგ ფისოვანი ნივთიერებანი-ლიფტობიოლიტისაგან, შეუსწავლელია.

გარდა აღნიშნულისა, ჩვენს ინსტიტუტში მუშავდება ისეთი საკითხებიც, რომელთა მნიშვნელობა სცილდება რესპუბლიკის ფარგლებს. ასეთია რთულ სამთო მოელენათა მოდელირება, ჰიდრავლიკური დარტყმის მოელენის კვლევა მილსადენებში პულის მოძრაობის დროს, ქანების რღვევის პროცესის შესწავლა ბურღვის დროს, გვირაბების აეროდინამიკური წინაღობების კვლევა, ნავთობის საბადოების გახსნის რაციონალური მეთოდები და სხვ. 1959 წელს ინსტიტუტი ამუშავებდა 34 თემას, აქედან 14 თემა დამთავრებულია და გადაეცა სათანადო ორგანიზაციებს დასანერგავად.

ინსტიტუტის მიერ შესრულებული სამეცნიერო სამუშაოების უდიდეს ნაწილს საგრძნობი თეორიული მნიშვნელობა აქვს. ამიტომ მისი გეგმით გათვალისწინებული თითქმის ყველა თემა შეტანილია საბჭოთა კავშირის სამთო დარგის უმნიშვნელოვანეს თემათა საკოორდინაციო გეგმაში.

თავის სამეცნიერო საქმიანობას ინსტიტუტი ახორციელებს სამთო საწარმოებთან მჭიდრო კავშირში. გასულ წელს სახალხო მეურნეობის საბჭოსა და გეოლოგიური სამმართველოს მსხვილ საწარმოთა დაკვეთით ინსტიტუტმა დაამუშავა 19 სამეურნეო საბჭოლმეურნეობო თემა. საკვლევ სამუშაოთა დიდი ნაწილი სრულდება უშუალოდ საწარმოებში წარმოების მუშაკებთან მჭიდრო თანამგობრობის გზით.

აქვე ჭნდა აღინიშნოს თანამედროვე მოწყობილობითა და ხელსაწყოებით ინსტიტუტის არასაკმარისი აღჭურვა, რაც მუშობას აფერხებს. არ არის ექსპერიმენტული საბელსნენები. ინსტიტუტის შენობის დიდი ნაწილი სხვა ორგანიზაციებსა და კერძო მობინადრეებს უჭირავთ. ლაბორატორული ბაზის სიმცირის გამო იძულებული ვხდებით კვლევის პირველი ეტაპი ზოგჯერ უშუალოდ შახტებში შევასრულოთ. ეს გარემოება აძნელებს კვლევას, აგვიანებს შედეგების მიღებას, ხოლო მთელ რიგ შემთხვევებში იწვევს საწარმოო ექსპერიმენტების ჩაშლას.

საცდელი სამრეწველო და დანერგვითი სამუშაოები არ იგეგმება საწარმოებში. ეს უკანასკნელნი ხშირად არ უზრუნველყოფენ კვლევის ამ მნიშვნელოვან ეტაპს სათანადო მუშახელით, უბნებითა და მოწყობილობით. უმეტეს შემთხვევაში ცდებისათვის გამოყოფილ უბნები ჩართულია მადნეულის მოპოვებისა ან გვარაბების გაყვანის გეგმაში, რის გამო საცდელი სამუშაოები მეორეხარისხოვან საკითხად ხდება.

ახალი ტექნიკის დანერგვას საგრძნობლად შეუწყობდა ხელს მსხვილ სამთო საწარმოებთან ახალი ტექნიკის დანერგვის ჯგუფების შექმნა, რომლებიც მჭიდრო კავშირს დაამყარებენ სამეცნიეროსაკვლევ ორგანიზაციებთან, კერძოდ ჩვენს ინსტიტუტთან.

ჩვენი რესპუბლიკის სამთოელთა ამოცანაა უზრუნველყონ ნედლეულით საქართველოს მზარდი მრეწველობა. ამ ამოცანის შესრულებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება შახტებისა და მაღაროების ტექნიკურ რე

# დროა გვქონდეს ქართული ენციკლოპედია!

**მიმდინარე** საუკუნის ოცდაათიან წლებში ქართველი ინტელიგენცია გაცხოველებით ეძებდა „დიდი ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის“ 40 ტომეულის მომზადებისა და გამოცემისათვის. გადაიდგა პირველი ნაბიჯებიც, მაგრამ მალე მეც გამოირკვა, რომ ასეთი დიდი მოცულობით ქართული ენციკლოპედიის მომზადება და გამოცემა აღემატებოდა ჩვენი მეცნიერებისა და პოლიგრაფიული ბაზის მაშინდელ ძალღონეს.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, შეისწავლა რა ქართული ენციკლოპედიის გამოცემის რეალური შესაძლებლობანი, მიიღო გადაწყვეტილება მისი 12 ტომის მოცულობით გამოცემის შესახებ. მაგრამ საქმეს მაინც არ უჩანდა საბოლოო პირი: მალე დიდი სამამულო ომიც დაიწყო, და ეს დიდი საქმე, ნაადრევად და ცალკეულ ნაწილებად დაწყებული, სრულიად ჩაკვდა. მაგრამ ომის შემდეგ დიდი დრო გავიდა, ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის გამოცემის საკითხი უკვე მომწიფდა.

დღეს ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მომზადება და გამოცემა აუცილებელიც არის და საკმაოდ შესაძლებელიც.

ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მომზადებისა და გამოცემის აუცილებლობაზე, უპირველეს ყოვლისა, მიუთითებს ის გარემოება, რომ კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის ეპოქაში საბჭოთა ადამიანები დაუცხრომლად ესწრაფვიან ყოველმხრივ, ენციკლოპედიურ ცოდნას და ჩვენ, როგორც ამას დიდი ლენინი მოითხოვდა, ვალდებული ვართ ხელი შევუწყოთ მასების ამ ლტოლვას ენციკლოპედიური განათლებისაკენ. ამას მოითხოვს კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის ინტერესები, რადგან ყველასათვის ცნობილია, თუ როგორ განსაზღვრავს მასების შეგნებულობის დონე კომუნისტურ მშენებლობაში მათი მონაწილეობის არა მარტო ბასშტაბებს, არამედ ხარისხსაც, თუ როგორ აჩქარებს შეგნებული, ყოველმხრივ განათლებული მასების აქტიური მოღვაწეობა კომუნისტურ მშენებლობას.

ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის გამოცემა დღეგანდელ ჩვენს პირობებში სავსებით შესაძლებელიც არის. მას რეალურს ხდის, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს, განსაკუთრებით ამ უკანასკნელი დროის, ძლავრი სამეურნეო-ეკონომიური და კულტურული აღმავლობა; აგრეთვე კომუნისტური პარტიის მიერ აღზრდილი მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების, პარტიული, სამეურნეო და სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის მაღალკვალიფიციური კადრები. საკმარისია ითქვას, რომ ჩვენს რესპუბლიკაში დიდსა და ნაყოფიერ შუამავლს ეწევიან საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია და სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემია, სახელმწიფო უნივერსიტეტი და სხვა 17 უმაღლესი სასწავლებელი. მარტო უკანასკნელ წლებში შეიქმნა 12 სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი და ორი სამეცნიერო ლაბორატორია, ამჟამად რესპუბლიკაში მოქმედებს 145 სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი, ატომური რეაქტორი და სხვა, ოთხლებშიც ფარმატებით მუშაობს ძრავალი აკადემიკოსი და აკადემიის წევრი-კორესპონდენტი, მეცნიერებათა 400-ზე მეტი დოქტორი, 3 ათასამდე კანდიდატი და 4 ათასამდე სხვა მეცნიერი თანამშრომელი. ამას დაუმატოთ ლიტერატურისა და ხელოვნების მრავალროვანი კადრები, საძეურნეო, პარტიული და სახელმწიფო მოღვაწეთა დიდი არმია, და ყველასათვის ნათელი იქნება ქართული ენციკლოპედიის მომზადებისა და გამოცემის რეალური შესაძლებლობა.

ბოლოს, ქართული ენციკლოპედიის მომზადებასა და გამოცემას ძესაძლებელს ხდის საბჭოთა ქვეყნის დიდი ენციკლოპედიური კულტურა. აგრეთვე, თუ გავითვალისწინებთ საკავშირო მთავრობის ძხარდაჭერასა და დახმარებას ქართული ეროვნული კულტურის შემდგომი მძლავრი აღმავლობისადმი, ძამინ ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მომზადება და გამოცემა საუსებით რეალურ და შესაძლებელ საქმედ წარმოგვიდგება.

ჩვენი სუფვილია საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავი აღვნიშნოთ „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის“ მოსამზადებლად და გამოსაცემად მუშაობის დაწყებითაც.

**ი. აბაშიძე** — პოეტი, **ნ. ბერძენიშვილი** — ისტორიკოსი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სტალინური პრემიის ლაურეატი, **ნ. ბუდიაშვილი** — საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი, **პ. ერისთავი** — ჭირურგი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, **ნ. კეცხოველი** — ბოტანიკოსი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, **გ. ლეონიძე** — პოეტი-აკადემიკოსი, **გ. მელიქიშვილი** — ისტორიკოსი, პროფესორი, ლენინური პრემიის ლაურეატი, **ლ. ძიაჩელი** — მწერალი. **ს. ყაუხჩიშვილი** — ფილოლოგი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი, **ა. შანიძე** — ენათმეცნიერი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, **გ. ჩიტაია** — ეთნოგრაფი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი, **ა. ჩიქობავა** — ენათმეცნიერი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, **ი. ციციშვილი** — ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, საბჭოთა კავშირის გმირი, **ა. ძამაშვილი** — კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი, სოციალისტური შრომის გმირი, **ვ. შაბუკიანი** — სსრ კავშირის სახალხო არტისტი, ლენინური პრემიის ლაურეატი.

## საფრანგეთის სოციალისტური პარტია პარალიზებულია

**პარიზი,** 4 ივლისი. საკდესის კორესპონდენტი ვ. სისოევა გადმოგვცემს: დამთავრდა საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ყრილობა, რომელიც მიმდინარეობდა პარიზის გარეუბან ისი-ლე-მულინში. დისკუსიის მსვლელობა და ყრილობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი ცხადყოფენ, რომ საფრანგეთის სოციალისტური პარტია კვლავ პარალიზებულია მისი მემარჯვენე ხელმძღვანელობის ანტიკომუნისტური კურსით, რომლის მიზანია საფრანგეთში დემოკრატიული და პროგრესშირული ძალების გათიშვა.

თუმცა პარტიის გენერალური მდივანი გ. მოლე და მისი მომხრეების უმრავლესობა კვლავ არჩეული არიან საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობაში, მაგრამ ოპოზიციურმა უმცირესობამ პარტიაში, რომელსაც ალბერ გაზიე მეთაურობს, ახლანდელ ყრილობაზე მიიღო მეტი ხმა და 6 ადგილი პარტიის ხელმძღვანელობაში. მაგრამ გი მოლეს გარემოცვის მაქინაციების გამო, რომელიც ხელს უშლის გაზიეს მომხრეებს მიიღონ მათი გაგზავნის შესაბამისი ადგილების რიცხვი საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობაში, გაზიემ განაცხადა, რომ პროტესტის ნიშნად იგი და მისი თანამოაზრენი უარს ამბობენ პოსტებზე პარტიის ხელმძღვანელობაში.

ყრილობის მიერ მიღებულ რეზოლუციაში პარტიის პოლიტიკური კურსის შესახებ გამოცხადებულია, რომ საფრანგეთის სოციალისტური პარტია „მეთაურობს მთავრობის დემოკრატიულ ოპოზიციას“, მაგრამ იქვე აღნიშნულია, რომ ეს ოპოზიცია უნდა იყოს „თავისუფალი“ და „არა სისტემატური“. რეზოლუციაში საგარეო პოლიტიკის შესახებ პირდაპირ აღნიშნულია, რომ საფრანგეთის სოციალისტური პარტიის აზრით, საფრანგეთის პოლიტიკას საფუძვლად უნდა დაედოს „ატლანტიკის სოლიდარობა“.

ალჟირის საკითხზე, რომელმაც უაღრესად დიდი უთანხმოება გამოიწვია ყრილობაზე, შეტანილი იყო სამი რეზოლუცია: საფრანგეთის სოციალისტური პარტიის მემარჯვენე დაჯგუფების წარმომადგენელი ფაქს ლეკენი თავისი რეზოლუციის პროექტში არსებითად უარყოფდა ალჟირის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის წარმომადგენლებთან მოლაპარაკების იდეას და მოითხოვდა ალჟირის დატოვებას საფრანგეთის შემადგენლობაში. მეორე რეზოლუცია, რომელიც ა. გაზიემ და გ. დეფერმა შეიტანეს, მთლიანად იზიარებდა მოლაპარაკების იდეას.

მაგრამ პარტიის ხელმძღვანელობამ მეორე რეზოლუცია, რომელიც შეიცავს წინააღმდეგობრივ და საკმაოდ ბუნდოვან დებულებებს. ამასთან ყრილობას არ გადუდგამს არავითარი ნაბიჯი დემოკრატიული ძალების შეკავშირების გზაზე ალჟირის ომის შესაწყვეტად.




ნაპოვნთა ბიუროში

— ჩემი სახელია ეიზენჰაუერი. მე ჩემი სახე დავკარგე.

ნახ. შმიტისა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა.

## უშიშროების საბჭოში

**ნიუ-იორკი,** 4 ივლისი, (საკდესი). კონგოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ლუმუმბამ და სომალის რესპუბლიკის დროებითმა პრეზიდენტმა ოსმანმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს ჰამარშელდს გაუგზავნეს დეპეშები და სთხოვეს უშიშროების საბჭოს განსახილველად დასვას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრებად ათრიკის ამ ორი ახალი სახელმწიფოს მიღების საკითხი.

გაერთიანებულ ერების ორგანიზაციის ახალი წევრების მიღების საკითხის განსახილველად უშიშროების საბჭოს სხდომა დანიშნულია 5 ივლისს.

## ᲬᲘᲜᲐᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲙᲐᲛᲞᲐᲜᲘᲐ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲘᲗᲔᲑᲣᲚ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲨᲘ

**ᲧᲝᲕᲔᲚᲘ** ნაკიანი წლის წოემბერში, „პირველ სამშაბათს პირველი ორშაბათის შემდეგ“, ამერიკელ ამომრჩეველთ ეძლევათ შესაძლებლობა გადაწყვიტონ, თუ ამერიკის შეერთებული შტატების ორ უდიდეს ბურჟუაზიულ პარტიას — დემოკრატიულ და რესპუბლიკურ პარტიებს შორის რომელი პარტიის წარმომადგენელი იქნება ქვეყნის პრეზიდენტი მომდევნო 4 წლიწადს. პრეზიდენტთან ერთად ირჩევენ ვიცე-პრეზიდენტსაც. ამავე დროს ხდება სენატის წევრთა მესამედის და წარმომადგენლთა პალატის ყველა წევრის გადარჩევა.

ყბადაღებული ამერიკელი დემოკრატიისათვის დამახასიათებელია, რომ ამ არჩევნებში კენჭს იყრიან მხოლოდ დემოკრატიული და რესპუბლიკური პარტიების კანდიდატები, პარტიებისა, რომელნიც არსებობთან იმდენად პოლიტიკური პარტიები არ არიან, რამდენადაც ამერიკის შეერთებული შტატების წამყვან მონოპოლიათა კომიტეტები წინასაარჩევნო კამპანიებისა და თვით არჩევნების მოწყობაში. რაც შეეხება სხვა პოლიტიკურ ორგანიზაციებსა და პარტიებს, ბურჟუაზიულსაც კი, ისინი პრაქტიკულად მოკლებული არიან იმის შესაძლებლობას, რომ დაასახელონ თავიანთი კანდიდატები.

წინასაარჩევნო ციებ-ცხელება ამერიკის შეერთებულ შტატებს იპყრობს დიდი ხნით ადრე არჩევნების ვადის მოახლოებამდე. და არც გასაკვირია. არჩევნებში გაბარკვებული პარტიისათვის „პრემია“ ხომ არის ათასობით დიდხელფასიანი პოსტები მთავრობის სხვადასხვა დაწესებულებაში და ფართო შესაძლებლობანი, რომლებიც მათ ამასთან დაკავშირებით ეძლევათ სხვადასხვა ხელსაყრელი მაქინაციისათვის მსხვილი ბიზნესის მესვეურებთან.

წინასაარჩევნო კამპანიის მსვლელობაში ამერიკის შეერთებულ შტატებში პირველი ადგილი ჩვეულებრივად უკავია აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების საშინაო ცხოვრების საკითხთა განხილვას.

რესპუბლიკური და დემოკრატიული პარტიების მესვეურები არც მიმდინარე წელს სურთათ ეფალტაან ამ ტრადიციასთვის. მათ იმედი ჰქონდათ, რომ ამომრჩეველთა მთავარი ყურადღება, ისევე როგორც წარსულ წლებში, მიეპყროთ თავიანთი დეკლარაციული განცხადებებისათვის საშინაო პოლიტიკის საკითხებზე და წინასაარჩევნო კამპანიისათვის საფუძვლად დაედოთ პრეტენდენტების პირად თვისებათა განხილვა.

მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული საგარეო პოლიტიკის არაერთმა საბარკვნეთ ფაფუშვამ აფთია საქმე კამპანიის ორგანიზატორებს. მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკური პარტიის ხელმძღვანელობა მტკიცედ მოუწოდებდა წინასაარჩევნო კამპანიის მსვლელობაში არ განეხილათ საგარეო პოლიტიკის საკითხები, ეს საკითხები პირველ პლანზე აღმოჩნდა დაყენებული. უკვე ივნისში ინგლისის გაზეთი „დეილი ექსპრესი“, აღწერდა რა წინასაარჩევნო ბრძოლას ამერიკის შეერთებულ შტატებში, წერდა, მომდინარე წელს ეს კამპანია „საგარეოპოლიტიკურ პლატფორმაზე იწარმოებსო“.

ამბები ასეთი შემობრუნება, ბუნებრივია, აძლიერებს ინტერესს წინასაარჩევნო კამპანიისადმი ამერიკის შეერთებულ შტატებში, კერძოდ, დემოკრატიული და რესპუბლიკური პარტიების ყრილობათა მუშობისადმი, რომლებზეც დასახელებულ იქნება ამ პარტიების კანდიდატები ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე.

პირველად გაიმართება დემოკრატიული პარტიის ყრილობა, რომელიც გაიხსნება ქალაქ ლოს-ანჯელოსში 11 ივლისს. დემოკრატებს შორის პრეზიდენტის პოსტის აქტიური კანდიდატები არიან სენატორები ჯონ კენედი, ლინდონ ჯონსონი და სტიურარტ სიმინგტონი.

თავისი არჩევის შესაძლებლობის ყველაზე მეტ ოპტიმიზმს იჩენს სენატორი კენედი. მას შემდეგ, რაც გიმარჯვა პარველას არჩევნებში ვეიდ შტატში მან განაცხადა დემოკრატიული პარტიის ყრილობაზეც „გვიმარჯვებო“.

კენედის ძლიერ კონკურენტად ითვლება დემოკრატიული უმრავლესობის ლიდერი სენატორი ჯონსონი, რომელიც განსაკუთრებულ მჭიდროდ არის დაკავშირებული ტექასის ნავთობის მონოპოლიებთან. ლინდონ ჯონსონი, რომელსაც თავითონაც სავმაოდ დიდი შეძლება აქვს, ა


ნაკელი ყოველი მხრიდან. და შოფრებმა შესანიშნავი მოსაზრებულობა გამოიჩინეს: კალიფორნიის კონცხის ახლოს არის ქიშლა-იარის ხევი, რომელიც მეწყერების შედეგად შექმნილა. ეს ხევი, რომლის ფერდობებზე იყო გამოქვაბულთა ქალაქი ხილა, სადაც თრაკიელი ტომები — ტროგლოდიტები ცხოვრობდნენ, მოხსენიებული აქვთ ჯერ კიდევ ძველი დროის ისტორიკოსებს სტრაბონსა და პტოლომეს. შემდეგში ეს გამოქვაბულები ცხვრის მრავალრიცხოვანი ფარების თავისებურ ფარეხებს წარმოადგენდნენ. შაბლის შოფრებმა გადაწყვიტეს ამ „ავგიოსის თავლებიდან“ გამოეტანათ ასეულ წლობით დაგროვებული ნაკელი და გადაეცათ იგი მეურნეობისათვის.

შაბლის მარჯვე კოოპერატორები მარტო ტრადიციულ მოწამოქმედებასა და მეცხოველეობას როდი სჯერდებიან. შეექმნა ჯგუფი კამბალა თეგზის საკერად. გეგმა ითვალისწინებს არხის გაკრას ტბებიდან ზღვაში წყლის გადასაყვანად იმ მიზნით, რომ გაფართოვდეს თეგზის ჭერა ტბებში. ტბის მცენარეულობა რომ გამოეყენებინათ, შეიძინეს ნნეხი მშენებლობის საჭიროებისათვის ლელის ფილების დასამზადებლად. შექმნილია ღორღის დამამზადებელი, კალატოზთა ბრიგადები, ფართოვდება აგურის წარმოება, რაც შესაძლებელს გახდის მნიშვნელოვანი რაოდენობით დამზადდეს აგური. (1.000.000 აგური) გასაყიდად. არსებულ სკებს უკანასკნელ წლებში 300 კილევ დამატება. ხენდროს ნარგავი 300 დეკარით გადიდდა. ახლა კოოპერატორებმა გადაწყვიტეს ნავთობის ჭაბურღილებს შორის დაამუშაონ წინათ დაუმუშავებელი მიწები. ჭაბურღილების ახლოს აღმოაჩინეს ცხელი მინერალური წყალი, რომელსაც ბოსტნეულის წარმოების გასაფართოებლად გამოიყენებენ. დიახ, შაბლელები მტკიცე რწმენით იპყრობენ მომავალს!

• • •

**სურათზე:** ახალი პარკი და ხელოვნური ტბა დაბა ტოლუტხინში, რომელიც ღობრეჯის ველზე მდებარეობს,



## ᲬᲘᲜᲐᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲙᲐᲛᲞᲐᲜᲘᲐ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲘᲗᲔᲑᲣᲚ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲨᲘ

**ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲒᲕᲠᲔᲓᲘ,** ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ.

6 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ, 1960 Წ.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

## ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜ ᲤᲚᲘᲡᲗᲐᲕᲡ ᲛᲘᲣᲫᲦᲕᲜᲔᲚ

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მე-40 წლისთავს მიეძღვნა თეორიული კონფერენცია, რომელიც ამ დღეებში მოეწყო კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ აღგილობრივი პირველადი პარტიული ორგანიზაციის ინიციატივით.

კონფერენციაზე წაკითხულ იქნა შემდეგი მოხსენებები: „სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება საქართველოში“ (ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი დ. ჯიბლაძე), „საბჭოთა კინემატოგრაფის განვითარების 40 წელი“ (კინოდრამატურგი კ. გოგოძე), „ლენინი და ბრძოლა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის“ (კინოსტუდიის სასცენარო განყოფილების უფროსი მ. მგალობლიშვილი), „საქართველოს მშრომელთა ბრძოლა ინტერვენტთა წინააღმდეგ 1918-1920 წწ.“ (სტუდიის კადრების განყოფილების უფროსი ი. კალატოზიშვილი), „სოციალისტური რევოლუცია და ეროვნული საკითხის გადაწყვეტა საქართველოში“ (სტუდიის უფროსი რედაქტორი გ. ბარათაშვილი).

## ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲔᲚᲘ ᲛᲐᲧᲣᲠᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲗᲕᲐᲚᲘᲗ

### რუსთაველის სახელოგის თეატრის გასტროლები მოსკოვში

**მოსკოვი,** 5 ივლისი. (საქდესის სპეც. კორ.). „ბახტრიონმა“ ჩვენზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა. მკაფიო და ნიჭიერად დადგმული სპექტაკლია, განსაკუთრებულია სერგო ზაქარიაძე“ — ეს სიტყვები ეკუთვნის ლენინური პრემიის ლაურეატს, გაზეთ „სოვეტსკაია კულტურის“ რედაქტორს ვ. ორლოვს.

მოსკოველი მაყურებლები შეუნელებელ ინტერესს იჩენენ რუსთაველის სახელობის თეატრის დადგმებისადმი. განსაკუთრებული წარმატებით სარგებლობს „ბახტრიონი“. ყველას აზრი ის არის, რომ თუ 1958 წელს მოსკოვში ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადაზე თბილისის დრამატული თეატრების კოლექტივების სპექტაკლებს შორის საუკეთესო იყო „ოიდიპოს მეფე“, ახლა კი ანტიკური ტრაგედია თეატრის მიღწევებში განსაკუთრებულ ეტაპად გადაიქცა. თეატრის თვალსაჩინო სპეციალისტთა ეს აზრი საბოლოოდ განმტკიცდა 2 და 3 ივლისს „ბახტრიონის“ წარმოდგენებზე.

— მე შემიძლია მხოლოდ აღფრთოვანება გამოვთქვა, — თქვა პოეტმა მიხეილ ვერშინინმა, — „ოტელო“, „ოიდიპოს მეფე“, და, ბოლოს, „ბახტრიონი“ — თეატრის განვითარების ისტორიაში სამი დიდი რგოლია და ყველა ისინი საეტაპო რგოლებს წარმოადგენენ. საგულისხმოა, რომ „ბახტრიონის“ წარმოდგენით თეატრმა ტრაგიკულ და შექსპირულ ჟღერადობას მიაღწია არა ანტიკური და არა შექსპირის ნაწარმოებით, არამედ ეროვნული ნაწარმოებით, რომლის ავტორია ჩვენი თანამედროვე პოეტი დ. გაჩეჩილაძე. და რა კარგი იქნებოდა, რომ შექმნილიყო ასეთი ემოციისა და დაძაბულობის სპექტაკლი თანამედროვე თემაზე, უბრალო საბჭოთა ადამიანის ცხოვრებიდან! ეს იქნებოდა გენიალობა თეატრალურ ხელოვნებაში და სინანულს გამოვთქვამ, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ვერ შევძელით ასეთი ნაწარმოების შექმნა.

მოსკოვის სამხატვრო აკადემიური თეატრის მხატვარმა მ. ფიცგოროტმა აღნიშნა ფ. ლაპიაშვილის ფუნჯის გამომსახველობა. მე მხატვარი ვარ, — თქვა მან, — და ვფიქრობ, რომ ძნელია მიაღწიო იმას, რასაც ლაპიაშვილმა მიაღწია. გამოიყენა რა მეტად მცირე საშუალებანი, მან შექმნა უკიდეგანო სივრცე.

კვირას, დღისით ათასობით მოსკოველს შესაძლებლობა მიეცა ტელევიზორის ეკრანებზე ენახა „ბახტრიონი“.



## ᲐᲚᲯᲘᲠᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘᲡ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ

**პარიზი,** 4 ივლისი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის საგენტო ტუნისიდან იუწყება, ალჟირის რესპუბლიკის დროებითმა მთავრობამ გამოაცხადა, რომ გადაწყვეტილი აქვს არ გაგზავნოს საფრანგეთში დელეგაცია საფრანგეთის მთავრობის წარმომადგენლებთან მოსალაპარაკებლად. ალჟირის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის განცხადებით აღნიშნულია, რომ ივლისის დამლევს მან საფრანგეთში გაგზავნა თავისი ორი ემისარი, რათა მოემზადებინა ალჟირის რესპუბლიკის დრონებითი მთავრობის დელეგაციის გამგზავრება პარიზში საფრანგეთის მთავრობასთან მოსალაპარაკებლად პრეზიდენტ დე გოლის 1960 წლის 14 ივნისის წინადადების შესაბამისად.

ამ ემისრების მოლაპარაკებამ მელენში 25-29 ივნისს, ნათქვამია შემდეგ განცხადებაში, ცხადყო, რომ საფრანგეთის მთავრობა აპირებს ცალმხრივი წესით დაადგინოს ალჟირისა და საფრანგეთის დელეგაციებიც. შეხვედრის პირობები. საფრანგეთის მთავრობამ გამორიცხა ამ პირობების შეცვლის განხილვის ყოველგვარი შესაძლებლობა. ამ პირობების მიხედვით, ალჟირის დელეგაცია, თუ იგი საფრანგეთში ჩავა, დაკარგავს ყოველგვარ თავისუფლებას, რომელიც შეესაბამება მოლაპარაკების მონაწილის ღირსებასა და წოდებას.

ხახს უგვამს რა, რომ საფრანგეთის მხარეს ახლა „ახალი ფორმულების საშუალებით სურს მიაღწიოს ჩვენს კაპიტულაციას“, ალჟირის რესპუბლიკის დროებითი მთავრობა აცხადებს: „შექმნილ გარემოებასა და პირობებში ალჟირის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის დელეგაციის ჩასვლა საფრანგეთში დროული არ არის. იგი ამ მომენტში ხელს ვერ შეუწყობდა ალჟირის პრობლემის მოწესრიგებას.

დელეგაციათა შეხვედრა შეიძლება ნაყოფიერი იყოს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ამ შეხვედრის პირობები და მეთოდები ორივე მხარის თავისუფალი შეთანხმების შედეგი იქნება, თუ საფრანგეთის მთავრობა მხედველობაში მიიღებს ამ პრინციპს, ალჟირის რესპუბლიკის დროებითი მთავრობა მზად არის კვლავ გაგზავნოს ორივე ემისარი საფრანგეთში“.

ᲐᲚᲯᲘᲠᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ

## ᲛᲝᲙᲕᲝᲕᲔᲒᲣᲚᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ

**ᲩᲕᲔᲜᲘ** სამშობლოს ყოველ კუთხეში ჰორიზონტი სულ ახლოს ჩანს — ზოგან ხეობის ახლოს გორაკებზე შეჩერებული, ზოგან მთაგრეხილებზე ასული, ზოგან კი ტყეს შერწყმია.

სამაგიეროდ დობრეჯაში ჰორიზონტი უსასრულოა. საათობით მიდიხარ, და მაინც ვერ მიახლოებიხარ მას, გეჩვენება, რომ ჩაკარგული ხარ ამ სიშორეში.

სოფელ შაბლის იმ ადგილიდან, სადაც მოთავსებულია ს. მ. კიროვის სახელობის შრომითი კოოპერაციული სამეწარმოქმედო მეურნეობის ვრცელი ეზო, უნაპირო სივრცე იშლება: ერთი მხრივ ზღვაა, ხოლო მეორე მხრივ — დობრეჯის ველი. ორივე ისე სწორია თვით ჰორიზონტამდე, რომ მხოლოდ ფერით გაარჩევ: ლურჯი, მზე ალმასივით რომ აკაფავებს, ზღვის ფერია, ხოლო ჭრელი — მიწისა: აქ შემოსული პურეულის ოქროსფრად ლივლივიც არის, ვერცხლისფრად მოლპლპაე შვრიაც, სელის ცისფერი ზოლებიც, სიმინდისა და მზესუმზრაას მწვანედ მობიბინე კვადრატებიც.

შაბლელ კოოპერატორებს 1951 წლის ზაფხულიდან ვიცნობ, როცა ბულგარეთის მწერალთა კავშრმა მათთან გამგზავნა, მრავალტირაჟიანი გაზეთის „გამოშვებაში რომ დავხმარებოდი. სოფელში რამდენიმე ეზოლნად დავრჩი. მახსოვს, ერთხელ შემოდგომაზე მეურნეობის თავმჯდომარესთან დიმიტრ იანაკიევთან ერთად უზარმაზარ სამეურნეო ეზოში მივდიოდი. ლეწვა დამთავრდა, და ეზო თითქოს მოოქროვილი იყო. უზარმაზარი ზვინებიდან სოფლისაკენ ურმები ბიდიოდნენ, ეზოში და გზაზე ოქროსფერი ნამჯა ცვიოდა.

მეურნეობამ კოოპერატორებს ურმები მისცა პირადი საჭიროებისათვის ნამჯის გადასაზიდავად. გადაწყვიტეს თითო ოჯახისათვის ხუთი ურმი, ე. ი. 2,5 ტონა ნამჯა მიეცათ. მაგრამ მოსავალი ისეთი იყო, რომ ყველას იმდენი მიჰქონდა, რამდენიც უნდოდა.

— მაღლობა გვითხარი, მიწავ! — თქვა ერთმა კოოპერატორმა, მოგვესალმა და ძაღლა ასწია ფიწალი, როგ ნამჯა ურმის თავზე დაეწყო.

— იქნება სწორედ პირიქით იყოს? — თავი ვერ შეეიკავე მე. — იქნებ მაინც თქვენ გადაუხადოთ მადლობა მიწას კარგი მოსავლისათვის?

— ე, წავიდა ის დრო, როცა მიწისაგან მოწყალებას ველოდით და მადლობას ვუხდიდით. ახლა თვითონ გვიხდის მადლობას იმისათვის, რომ ნაყოფს იძლევა! — ჩაერია ლაპარაკში მეორე, ზვინის თავზე რომ იდგა.

მათ გვერდით მომუშავე ქალიშვილმა შენიშნა:

— ჩვენ აქ, ამხანაგო მწერალო, კარგი მოსავლის ქარხანა, კომბინატი გვაქვს.

— არა, ქარხანა კი არა, სხვა რამ გვაქვს, — შეედავა მოხუცი, რომელიც ურმებზე ნამჯას უდებდა. — ქარხანაში მანქანები მუშაობენ, შემდეგ კი ფუშტდებიან. მიწა ასე როდია. რაც უფრო მეტს გამოართმევ, მით უფრო მეტს იძლევა. ამის გაგებაში დაგვეხმარა თავმჯდომარე მიტკო საბჭოთა კავშირში ყოფნის შემდეგ. აგროტექნიკისა და თესლბრუნვის გამოყენებით მიწას ვაუმჯობესებთ.

— მაშასადამე, ასე გადაწყვიტეთ, — დაასკვნა სიცილით დიმიტრ იანაკიევმა, ანუ, როგორც კოოპერატორები ეძახიან, მიტკომ. — ახლა ჩვენი მიწა თანდათან გაახალგაზრდავდება!

შაბლაში იმ დროს სამი კოოპერატივი არსებობდა...

ექვს წელიწადს — 1945-დან 1951-მდე — საშუალო გლეხები ელოდნენ, რა გამოვიდოდა მეურნეობიდან. შემდეგ კი გადაწყვიტეს თავიანთი მეურნეობა შეექმნათ. მას ლენინის სახელი დარქვეს და შეჯიბრებაში კიროვის სახელობის კოოპერატივი გამოიწვიეს.

მაგრამ კიროველებს ადვილად ვერ დაეწეოდი. ომადეგნო, 1952 წელს, მათ მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა მოიპოვეს და რესპუბლიკაში პირველ ადგილზე გამოვიდნენ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობით.

ღარიბ გლეხთა მაგალითი იმდენად მიმზიდველი აღმოჩნდა, რომ ამათ, ვინც ამ ორი მეურნეობიდან ჯერ კიდევ არც ერთში არ შესულიყო, გადაწყვეტეს საჩქაროდ შეექმნათ მესამე და მას გიორგი დიმიტროვის სახელი მიაკუთვნეს.

როცა მიწა მთლიანად კოოპერირებული იყო, შაბლელმა გლეხებმა ერთმანეთს შორის შუღლი შეწყვიტეს. 1957 წლის 1 იანვარს სამი მეურნეობა გაერთიანდა. გაერთიანებულმა მეურნეობამ პირველი კოოპერატივის სახელი მიიღო. მის თავმჯდომარედ ერთსულოვნად აირჩიეს დიმიტრ იანაკიევი.

გაერთიანებამ დიდი როლი შეასრულა. საკმარისია გავიხსენოთ, რომ თუ წინათ ერთი მემინდვრეობის სატრაქტორო ბრიგადა 160 კაცის შემადგენლობით 10.000 დეკარს ამუშავებდა, გაერთიანების შემდეგ 280 კაცისაგან შემდგარი ბრიგადა უკვე 20.000 დეკარს ამუშავებს. ნაცვლად იმისა, რომ თვითეული მეურნეობა ყველა დარგს ავითარებდეს, ცალკე სამეურნეო ეზო ჰქონდეს, ცალკე ბრიგადირები ჰყავდეს, ცალკე ეწეოდეს ანგარიშწარმოებას, — ახლა ერთ ადგილს თავმოყრილია მემინდვრეობა, მეორე ადგილს — მეცხოველეობა. ბრიგადირები და ადმინისტრაციული პერსონალი კი საერთოა.

ამ პირველმა გაერთიანებამ ხელი შეუწყო კოოპერატორების აღზრდას კ

# მზიურ სოხუმში

შავი ზღვის ქალაქების მარგალიტია ჩვენი მზიური სოხუმი.

ნახვისთანავე მოგხიბლავს სწორი და განიერი ქუჩებით, პალმებით, ბანანებით და ნაირფერი ყვავილებით დამშვენებული.

მწვანით მოქარგულია საბჭოთა აფხაზეთის კოხტა დედაქალაქი. ათასობით ტურისტი და ექსკურსანტი მოდის აქ ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა კუთხიდან. ქალაქ-ბაღის დირსშესანიშნაობათა სანახავად მოდიან უცხოელი სტუმრებიც- ამა რა გული მოუთმენთ, რომ შავი ზღვის სანაპირო ქალაქების დათვალიერების დროს არ ინახულონ მუდამ მშვენიერი, კეკლუცი სოხუმი.

ჩვენი ფოტოკორესპონდენტიც შეეცადა ფირზე აღებეჭდა რამდენიმე დამახასიათებელი შტრიხი სოხუმის ცხოვრებიდან.

პირველი სურათი მთიდან არის გადაღებული. თითქოს ხელის გულზეა თეთრი სახლებით და მწვანე ნარგავებით დახატული ქალაქი. ნავსადგურში შემოდიოდა დიდი სამგზავრო გემი. აქ არ ჩანს, მაგრამ მაშინ ზღვა ლუჯად ლივლივებდა და მზეზე ბზინავდა აჭავლებული.

აი, ჩამოდგა თბომავალი „როსია". ბევრჯერ უნახავთ იგი აქაურებს, მაგრამ რამდენია ისეთი, ვინც პირველად იხილა ზღვა და ეს უდიდესი გემი.

თბომავალმა ბევრი მგზავრი ჩამოიყვანა. სანატორელ სტუმრებს ელოდნენ დამხვდურები და, როგორც ხედავთ, გულთბილადაც შეხვდნენ. ალერსით ხვდებიან და აცილებენ ერთმანეთს აფხაზეთის სიტურფით მოხიბლული მოქალაქენი.

აქვე, ქალაქში, სადაც მდინარე ზღვას უერთდება, ბანაობის შემდეგ თევზაობას გაუტაცნია მზით შერუჯული ბავშვები. მათ ახლახან დაამთავრეს სკოლაში სწავლა, და შინ რა გააჩერებთ, როცა ლაღად გახართობად იწვევს მშობლიური ზღვა.

კარგია, ლამაზია ჩვენი სოხუმი.

* * *

**სურათებზე:** ზემოთ — სოხუმის ხედი, მარცხნივ — შეხვედრა ნავსადგურში (ზემოთ), თბომავალი ნავსადგურს უახლოვდება, მარჯვნივ — ბავშვები თევზაობენ.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

**ვარძიის** კლდე-ქალაქი თავისი მშენებლობის გრანდიოზულობით, ნაგებობათა მრავალსახეობითა და ხუროთმოძღვრული ხელოვნებით არაერთ მეცნიერსა და ტურისტ-ექსკურსანტს იზიდავს.

ცნობილია, რომ ვარძიის ნაგებობამ საუკუნეთა მანძილზე ბევრი დაზიანება განიცადა მტრების შემოსევის დროს, მაგრამ ნაგებობა სანახევროდ დანგრეულია ბუნებრივი მიზეზებითაც — იმ მთის თანდათანობით დაშლისა და ჩამოზვავების შედეგად, რომელშიც ქვაბულებია გამოკვეთილი.

ვარძიის დაცვას, მის შეკეთებას დიდი ხანია მიექცა ყურადღება, ამჟამად კი საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კულტურის ძეგლების დაცვის და რესტავრაციის საქმეთა სამმართველოსთან შექმნილია ვარძიის დაცვის კომიტეტი, რომელიც ამუშავებს ვარძიის გამოქვაბულთა კომპლექსის აღდგენითი და გამაგრებითი სამუშაოების გეგმებს.

ამჟამად ტურისტული სეზონის დაწყებასთან დაკავშირებით დაიწყო ვარძიის მისასვლელი გზების შეკეთების სამუშაოები, მალე დაიწყება ელექტრობაზის გაყვანა, რომ განათებულ იქნას ბნელი სათავსები და გვირაბები. მომავალში კიდევ უფრო გაფართოვდება მუშაობა კულტურის ამ მნიშვნელოვანი ძეგლის აღდგენისა და დაცვისათვის.

# ვარძიის რესტავრაცია

**მიმზიდველი** და თვალწარმტაცია საქართველოს ულამაზესი კუთხე — ბაკურიანი.

საქვეყნოდ არის ცნობილი ამ პატარა კუთხის მომჯადოებელი სილამაზე, მაგრამ უფრო მეტი სახელი მოუხვეჭეს მას იქ დაბადებულმა და გაზრდილმა სპორტსმენებმა — კობა წაქაძემ, ვერა და პავლი გაგუებმა, ქსენია ბანდურამ, ლიანა გოგოლაძემ — რომელ ერთს ჩამოთვლით. სწორედ მათ შესახებ მოგვითხრობს ფირადი კინონარკვევი „ერთი სოფლის სპორტსმენები", რომელიც ქრონიკალურ-დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული ფილმების საქართველოს სტუდიამ გამოუშვა.

ფილმის პირველსავე კადრებს გადავყავართ ზღაპრულ სამყაროში. ზამთარია, ირგვლივ ყველაფერი დუმს. თეთრად ქათქათებს მიდამო. თეთრი ნაბდები წამოუსხამთ მთებს, ხეებს, სახლებს...

თანდათან თენდება. მზეც ამოიწვერა. ფილის ნისლი ნელ-ნელა მიიპარება. იყიალა მამალმა. მას ადამიანი გამოეხმაურა. გაიღვიძა სოფელმა, დაიწყო ჩვეულებრივი ცხოვრება. თხილამურებზე შემდგარი ბავშვები სკოლისაკენ მიიჩქარიან. თხილამურებზე. შემდგარა ფოსტალიონი, ექიმი. ისინი ამავე დროს სოფლის განთქმული სპორტსმენები არიან. ახალგაზრდები კარგად უთავსებენ ერთმანეთს შრომასა და სპორტს. ექიმი ანზორ დადვანი ავადმყოფის დასახმარებლად მიეშურება, ავთანდილ მიქაბერიძე ფოსტას არიგებს. საკოლმეურნეო შრომაში არიან ჩაბმული სპორტსმენები გერა აბრამაშვილი, იბრაჰიმ ჯანგაბეგოვი, პავლე გაგა, პავლე ქოზანაშვილი; ლიანა გოგოლაძე კი ჯერ მხოლოდ დიასახლისია, იმ დროს, როდესაც ადგილობრივი სპორტსმენები წვრთნასთან ერთად ყოველდღიურ საქმიანობაში არიან ჩაბმული, ბაკურიანში პატარა მატარებელი შემოგუგუნდება. ჩვენი ქვეყნის ყოველი კუთხიდან მოეშურებიან ახალგაზრდები საზამთრო კურორტისაკენ.

კობა წაქაძესთან დაკავშირებული ეპიზოდი ფილმში ერთ-ერთი საინტერესოა. დიქტორი მოგვითხრობს მის სპორტულ ბიოგრაფიას, მოპოვებულ წარმატებებს, ეკრანზე ვხედავთ იმ მედლებს, ჯილდოებს, საჩუქრებს, რომლებიც კობამ დაიმსახურა სხვადასხვა ქვეყანაში გამართულ შეჯიბრებებზე. კობა ეხმარება მეგობრებს, დამწყებ მოთხილამურეებს, უზიარებს მათ საკუთარ გამოცდილებას. ფილმში გამოყენებულია სკვო ველში გადაღებული კინოკადრები — წაქაძის ხტომა ტრამპლინიდან.

ფილმში შეტანილია საკავშირო ასპარეზობა სათხილამურო სპორტში, რომელიც წელს ზამთარში გაიმართა ბაკურიანში. გამოჩენილ საბჭოთა მოთხილამურეებთან ერთად შეჯიბრებაში ადგილობრივი სპორტსმენებიც მონაწილეობენ. კოხტაგორის ფერდობები სპორტსმენებით აივსო. იწყება შეჯიბრება გიგანტურ სლალომში, სწრაფ დაშვებაში, ტრამპლინიდან ხტომაში. ერთმანეთს სცვლიან მეხლმაგარი, მამაცი ახალგაზრდები, რომლებიც შრომაში წარმატებით, სპორტში გამარჯვებით ასახელებენ საყვარელ სამშობლოს.

ფილმისათვის „ერთი სოფლის სპორტსმენები" სცენარი დაწერა კინოდრამატურგმა კ. გოგოძემ. კინონარკვევის რეჟისორია ვ. ვალიშვილი, ოპერატორი ო. დეკანოსიძე.

მზია კობახიძე.

# „ერთი სოფლის სპორტსმენები"

კინო

# უნივერსალური კინოთეატრი

**თბილისის** ახალგაზრდა უბანში, კომინტერნის ქუჩაზე, უახლოეს ხანებში დაიწყება მშენებლობა უნივერსალური კინოთეატრისა, რომელიც პირველი იქნება ჩვენს რესპუბლიკაში.

უნივერსალური კინოთეატრის პროექტი შექმნეს თბილისის საპროექტო ინსტიტუტის არქიტექტორებმა ლ. მესხიშვილმა და ს. მეგრელიშვილმა.

როგორც პროექტი ითვალისწინებს, კინოთეატრი აშენდება სკვერში, რომელსაც ექნება ორი დიდი წყლის სარკიანი აუზი.

თვით შენობის მთავარი ნაწილი — მაყურებელთა დარბაზი ტრაპეციის ფორმისაა და დაახლოებით ექვსასრთულიანი სახლის სიმაღლეს უდრის. იგი მოპირკეთებული იქნება თეთრი ეკლარის ქვით.

შენობის ფასადი გამოჯა მოედანზე. პირველ სართულს ექნება დარბაზში შესასვლელები, ფოიე.

უნივერსალური კინოთეატრის დარბაზი განკუთვნილია 2.500 მაყურებლისათვის, მას ექნება პარტერი და ამფითეატრი, რომელიც მოთავსდება სპროექციოების თაზე.

ამფითეატრის ფოიე გამოდის ღია ვერანდებზე, რომლებიც საკმაოდ ფართოა და გადაჭყურეს სკვერს.

როგორც ჩვენი გაზეთის კორესპონდენტს უამბეს პროექტის ავტორებმა, უნივერსალურ კინოთეატრს მეტად ფართო გამოყენება ექნება. აქ ნაჩვენები იქნება როგორც პანორამული, ისე ფართოეკრანიანი და ჩვეულებრივი კინოსტრათები; დარბაზში მოეწყობა კონცერტები, ოლიმპიადები, კინოფესტივალები და სხვ.

პანორამული კინოსურათების დემონსტრირებისათვის ეკრანი რკალისებური ფორმისაა. მის მოპირდაპირე მხარეს დადგმული იქნება სამი სპროექციო აპარატი, საიდანაც ერთდროულად ხდება ფილმის ჩვენება და იქმნება პანორამული სურათების დამახასიათებელი შთაბეჭდილება — თითქოს მაყურებელი მონაწილეობს ფილმში მომხდარ ამბებში. ამ შთაბეჭდილების გაძლიერებას იწვევს აგრეთვე ფართო ეკრანი, რომლის სიგანე 38 მეტრია და სიმაღლე 14,5 მეტრი.

უნივერსალური კინოთეატრი ერთ-ერთი სიუჟეთესო საჩუქარი იქნება დედაქალაქის მცხოვრებლებისათვის.

# ამინდი

უახლოეს ორ დღეში არ მოხდება ამინდის რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება. ცვალებადი მოღრუბლულობა და დროგამოშვებით ალაგ-ალაგ ხანმოკლე ელჭექიანი წვიმა იქნება მთელ რესპუბლიკაში, განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოს დასავლეთ რაიონებში. ქარი — დასავლეთის, სუსტი ზომიერამდე, ხოლო მდინარე მტკვრის ხეობაში დროგამოშვებით ძლიერი.

ტემპერატურა, მიუხედავად იმისა, რომ შუა ზაფხული არის, არ აიწევს. დასავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებში იქნება ღამით 15-20, დღისით 23-28 გრადუსი, მთიან რაიონებში ღამით 9-14, დღისით 14-19 გრადუსი.

აღმოსავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებში — ღამით 14-19, დღისით 25-30 გრადუსი, მთიან რაიონებში ღამით 8-13, დღისით 20-25 გრადუსი.

# ხანძარი ჩაქრეს

**თიანეთი,** 5 ივლისი. (საქდესი). სიონის წყალსაცავის მშენებლობის მუშაკის გ. კრასნოარუჭიევას ბინას გამფურთავი ელექტრო ფოთლიგან ხანძარი გაუჩნდა. სახლში არავინ იყო. ცეცხლი მალე შეამჩნია სიონის საშუალო სკოლის მასწავლებელმა ა. ჭრელაშვილმა. მან ჩამტვრია ფანჯრის მინა და სახლში შეიჭრა. ალექსანდრას სასწრაფოდ მიეხმარნენ მასწავლებელი ქალები ც. ჭინჭარაული, ლ. ბაიაშვილი, ვ. ბიჩინაშვილი და სხვები, რომლებიც ცეცხლთან შეუპოვარ ბრძოლაში გამარჯვებულნი გამოვიდნენ, სახლი და ავეჯი დაწვას გადაარჩინეს.

გ. კრასნოარუჭიევამ მათ დიდი მადლობა გადაუხადა.

# საერთაშორისო შეხვედრები ივლისში

**მიმდინარე** სეზონის სპორტულ კალენდარში სხვადასხვა ჩემპიონატები და სპარტაკიადებთან ერთად თვალსაჩინო ადგილი აქვს დათმობილი საერთაშორისო შეხვედრებს.

მიმზიდველი და საინტერესო იქნება ივლისის ასპარეზობები. საქართველოს ჩამოვლენ საფრანგეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების კალათბურთელები, აგრეთვე უნგრელი წყალბურთელები.

15 და 16 ივლისს კიროვის სახელობის პარკის კალათბურთის სტადიონზე გაიმართება კალათბურთელ ქალთა და ვაჟთა გუნდების საერთაშორისო მატჩები. ჩვენი რესპუბლიკის კალათბურთელები შეხვდებიან საფრანგეთის ჩემპიონებს პარიზის უნივერსიტეტის ქალთა და ლიონის „ვილერბანის" გუნდებს.

დიდ ინტერესს იწვევს 19 და 20 ივლისს ამავე სტადიონზე ჩვენი კალათბურთელების შეხვედრა ამერიკის შეერთებული შტატების პროფესიონალ საკლუბო გუნდთან. 19 ივლისს ამერიკელებს შეხვდება სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრები, 20 ივლისს — საქართველოს ნაკრები.

23, 24 და 25 ივლისს თბილისის ფიზკულტურის პარკის საცურავ აუზში საქართველოს წყალბურთელები საერთაშორისო მატჩებში შეხვდებიან უნგრეთის ჩემპიონს — დოჟას სახელობის საკლუბო გუნდს.

# მუსიკალური ცხოვრება

## მუსაფირ-მოგზაურები პამირზე გაემგზავრნენ

გუშინ თბილისიდან პამირზე ლენინგრადის რაიონში სასიმაღლო სარეკორდო ტრავერსის ჩასატარებლად გაემგზავრა ქუთაისის მთამსვლელთა ჯგუფი. ამ ჯგუფში შედიან ავრეთვე მესტიისა და ლენტეხის რაიონების და თბილისის უძლიერესი მთამსვლელები. მათ შორის . არიან სპორტის დამსახურებული ოსტატები ბ. ხერგიანი და ჭ. ჩართოლანი, სპორტის ოსტატები — ჯ. მეძმარიაშვილი, ი. გაბლიანი, დ. გუგავა, ნ. გუგავა, თ. კუხიანიძე და სხვ., სულ 30 კაცი.

ექსპედიციის შემადგენლობიდან 12 კაცი მოიერიშეთა ჯგუფში შედის. ექსპედიციის ხელმძღვანელობს სპორტის ოსტატი ლ. ახვლედიანი.

# პიარნუს ტურნირზე

**პიარნუ.** (სპეც. კორ.). აქ გრძელდება საჭადრაკო ტურნირი, ექვსი ტურის შემდეგ ტურნირის ლიდერია გროსმაისტერი პ. კერესი (ესტონეთი), რომელსაც 5 ქულა აქვს. ორ პარტიაში — ა. გიპსლისისა და პეტერსონის წინააღმდეგ იგი იძულებული გახდა ყაიმს დასჯერებოდა. კერესმა შესანიშნავად მოუგო საერთაშორისო ოსტატ ვ. მიკენასს. პარტიებში ოსტატ ი. კლოვანთან და ოსტატობის კანდიდატ ნ. ჩესნაუსკასთან გროსმაისტერმა შესანიშნავად გამოიყენა მინიმალური უპირატესობა ენდშპილში.

ლიდერს კვალდაკვალ მისდევს ოსტატი ჰ. უუსი (ესტონეთი), რომელსაც 4 ქულა და ერთი უკეთეს მდგომარეობაში გადადებული პარტია აქვს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უუსს აშკარად „ბედმა გაუღიმა" პარტიაში თბილისის ჩემპიონ თ. კიკიანთან, რომელმაც არათუ ვერ გამოიყენა მატერიალური და პოზიციური უპირატესობა, არამედ უხეში შეცდომით წააგო პარტია.

სამნახევარ-სამნახევარი ქულა შეაგროვეს ვ. მიკენასმა, ლატვიის ჩემპიონმა ა. გიპსლისმა, ოსტატობის კანდიდატმა ვ. ოსტრაუსკასმა, თბილისელმა ოსტატებმა ნ. სოროკინმა და მ. შიშოვმა. სოროკინმა კარგი სტილით მოუგო ოსტატ ი. კლოვანს, ხოლო მ. შიშოვმა დაამარცხა ვ. მიკენასი.

სამ-სამი ქულა აქვთ ი. კლიავინს და ოსტატობის კანდიდატ გ. გამრეკელს. თბილისელმა მოჭადრაკემ მოუგო ოსტატ ლ. მასლოვს და ტალინის ჩემპიონს ი. როზენფელდს, მაგრამ ვერ გამოიყენა თვალსაჩინო პოზიციური უპირატესობა ვ. ოსტრაუსკასთან. თანაბარ პოზიციაში გ. გამრეკელმა უარყო შეთავაზებული ყაიმი და შემდეგ დამარცხება განიცადა.

ტურნირი 12 ივლისამდე გასტანს.

# ქრონიკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1960 წლის 5 ივლისის ბრძანებულებით საქართველოს სსრ მინისტრებად დანიშნა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ამხ. ნიკოლოზ გიორგის-ძე გომელაური და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ირაკლი სოლომონის-ძე მიქელაძე.

**რედაქტორი**

**დ. მჟედლიშვილი.**

## 6 ივლისი

**თეატრები:** ფილარმონიის საზაფხულო — ორი ფერი (მარჯანიშვილის საახელობის თეატრის სპექტაკლი).

**კინოები:** **რუსთაველის სახელობის, თბილისი** — თავზე ხელაღებული მძღოლები, **ამირანი** (საზამთრო) — გზა მშვიდობისა, **ისანი** (საზამთრო), **საქართველო** (მწვანე დარბაზი), **გაზაფხული** — დაყრობილი სიმაღლე, **ამირანი** (საზაფხულო) — დამსვრეული ოცნებანი, **ოქტომბერი, ფილარმონიის ბაღი** — თორმეტი ქალაშვილი და ერთი ვაჟი, **ისანი** (საზაფხულო) — რაფსოდია, **სპარტაკი, კომკავშირელი, 26 კომისრის სახელობის** (მეორე დარბაზი), **ყაზბეგი, სარეწაო კოოპერაციის კულტურის სახლი, ვაკის პარკი** — ლილი, **26 კომისრის სახელობის** (პირველი დარბაზი) — მყუდრო ბინა.

**ტელევიზია:** 18.00 — გადაცემა მოსწავლეთათვის. მოსწავლეთა რესპუბლიკური ოლიმპიადის დასკვნითი სალამოს ტრანსლაცია ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრიდან.




## საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტი

აცხადებს მიღებას 1960-1961 სასწავლო წლისათვის შემდეგი საშუალო სპეციალური სასწავლებლების დღის და საღამოს განყოფილებებზე:

**I. თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმში**
(კამოს ქ. № 70)

**დღის განყოფილებაზე:** 1) სამრეწველო საწარმოთა და დანადგარების ელექტრომოწყობილობის, 2) ლითონების ჭრით დამუშავების, 3) შედუღების წარმოების, 4) ელექტრომანქანათმშენებლობის, 5) რადიოაპარატურის მშენებლობის, 6) შავი ლითონების სამსხმელო წარმოების სპეციალობებზე.

**საღამოს განყოფილებაზე:** 1) სამრეწველო საწარმოთა და დანადგარების ელექტრომოწყობილობის, 2) ლითონების ჭრით დამუშავების, 3) ელექტრომანქანათმშენებლობის, 4) რადიოაპარატურის მშენებლობის, 5) საავტომობილო ტრანსპორტის ექსპლოატაციისა და რემონტის სპეციალობებზე.

**II. თბილისის კოლიტექნიკურ ტექნიკუმში**
(უშანგი ჩხეიძის ქ. № 8)

**დღის განყოფილებაზე:** 1) არაორგანულ ნივთიერებათა ტექნოლოგიის, 2) სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის, 3) ქალაქის გაზის მეურნეობის, 4) სილიკატების ტექნოლოგიის, 5) რადიოკავშირის, 6) სადენიანი კავშირგაბმულობის, 7) რაიონული ელექტროკავშირის და რადიოფიკაციის სპეციალობებზე.

**III. თბილისის მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმში**
(ა. წერეთლის პროსპ. № 184)

**დღის განყოფილებაზე:** 1) სამკერვალო წარმოების, 2) ტყავის ნაკეთობათა ტექნოლოგიის (საფეხსაცმელო წარმოება), 3) საქსოვი წარმოების ტექნოლოგიის და მოწყობილობის სპეციალობებზე.

**საღამოს განყოფილებაზე:** 1) სამკერვალო წარმოების, 2) საქსოვი წარმოების ტექნოლოგიისა და მოწყობილობის, 3) ქსოვილის გამოყენების, 4) ტყავის ნაკეთობათა ტექნოლოგიის (საფეხსაცმელო წარმოება) სპეციალობებზე.

**IV. თბილისის საბჭოთა ვაჭრობის ტექნიკუმში**
(ი. ჭავჭავაძის პროსპ. № 64)

**დღის განყოფილებაზე:** 1) საკმლის დამზადების ტექნოლოგიის, 2) ვაჭრობის და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მოწყობილობის, 3) სამაცივრო-საკომპრესორო მანქანებისა და დანადგარების, 4) სამრეწველო საქონელმცოდნეობის სპეციალობებზე.

**V. ჟუთაისის სამთო ტექნიკუმში**
(პლეხანოვის ქ. № 44)

**დღის განყოფილებაზე:** 1) ქვანახშირის საბადოთა მიწისქვეშა დამუშავების, 2) ნავთობის და გაზის ჭაბურღილების ბურღვის, 3) მადნეულ და ქვიშოვნულ საბადოთა დამუშავების, 4) სამთო ელექტრომექანიკის სპეციალობებზე.

**VI. ჟუთაისის ავტომექანიკურ ტექნიკუმში**
(სტალინის ქ. II ჩიხი № 3)

**დღის განყოფილებაზე:** 1) ავტომობილმშენებლობის, 2) ჭედვისა და ტგიფვრის წარმოების, 3) ლითონების ჭრით დამუშავების, 4) საიარაღო წარმოების, 5) ტრაქტორმშენებლობის სპეციალობებზე.

**საღამოს განყოფილებაზე:** 1) ლითონების ჭრით დამუშავების, 2) საიარაღო წარმოების, 3) ავტომობილმშენებლობის, 4) ჭედვისა და ტვიფვრის წარმოების, 5) შავი ლითონების სამსხმელო წარმოების სპეციალობებზე.

**VII. ჟუთაისის სატყეო-ტექნიკურ ტექნიკუმში**
(პლეხანოვის ქ. № 46)

**დღის განყოფილებაზე:** 1) ხე-ტყის დამზადების ტექნოლოგიის, 2) სადურგლო-საავეჯო წარმოების, 3) ხე-ტყის საზიდი გზების მშენებლობის სპეციალობებზე.

**საღამოს განყოფილებაზე:** სადურგლო-საავეჯო წარმოების სპეციალობაზე.

**VIII. სოხუმის ინდუსტრიულ ტექნიკუმში**
(კუიბიშევის ქ. № 18)

**დღის განყოფილებაზე:** 1) ელექტრული სადგურების ქსელებისა და სისტემების, 2) სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის სპეციალობებზე.

**საღამოს განყოფილებაზე:** სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის სპეციალობაზე.

**IX. ჩაის მრეწველობის მახარაძის ტექნიკუმში**
(სტალინის ქ. № 8)

**დღის განყოფილებაზე:** 1) ჩაის ტექნოლოგიის, 2) კვების მრეწველობის საწარმოთა მოწყობილობის სპეციალობებზე.

**X. ჩაის მრეწველობის ზუგდიდის ტექნიკუმში**
(ორჯონიკიძის ქ. № 59)

**დღის განყოფილებაზე:** ჩაის ტექნოლოგიის სპეციალობაზე.

**XI. რუსთავის სალამოს ქიმიურ-მეტალურგიულ ტექნიკუმში**
(ინსტიტუტის ქ. № 8)

1) მილების წარმოების, 2) არაორგანულ ნივთიერებათა ტექნოლოგიის, 3) აირღუმელის თბოტექნიკის, 4) სამრეწველო საწარმოთა თბოტექნიკური მოწყობილობის, 5) ორგანული სინთეზისა და სინთეზური კაუჩუკის ტექნოლოგიის, 6) ხელოვნური ბოჭკოს ტექნოლოგიის სპეციალობებზე.

**XII. ბორჯომის სატყეო ტექნიკუმში**
(ინტერნაციონალის ქ. № 36)

**დღის განყოფილებაზე:** სატყეო მეურნეობის სპეციალობაზე.

**XIII. ფოთის ჰიდრომელიორაციულ ტექნიკუმში**
(კიროვის ქ. № 22)

**დღის განყოფილებაზე:** 1) ჰიდრომელიორაციულ სამუშაოთა მექანიზაციის, 2) ჰიდრომელიორაციის სპეციალობებზე.

**XIV. საბჭოთა ვაჭრობის ბათუმის ტექნიკუმში**
(ჯაფარიძის ქ. № 24)

**დღის განყოფილებაზე:** 1) საკმლის დამზადების ტექნოლოგიის, 2) სამრეწველო საქონლის საქონელთმცოდნეობის, 3) სასურსათო საქონლის საქონელთმცოდნეობის სპეციალობებზე.

**XV. თბილისის პედაგოგიურ სასწავლებელში**
(უშანგი ჩხეიძის ქ. № 13)

**დღის განყოფილებაზე:** სკოლამდელი აღზრდის სპეციალობაზე.

**განცხადებები მიიღება 31 ივლისამდე. მისაღები გამოცდები 1 აგვისტოდან 20 აგვისტომდე.**

ქართული სექტორის **პირველ კურსზე შემსვლელები აბარებენ** მისაღებ გამოცდებს არასრული საშუალო სკოლის პროგრამის მიხედვით შემდეგ საგნებში: 1. ქართულ ენაში (წერა), 2. ქართულ ენასა და ლიტერატურაში (ზეპირი), 3. მათემატიკაში (ზეპირი).

ქართული სექტორის **მესამე კურსზე შემსვლელები აბარებენ** მისაღებ გამოცდებს სრული საშუალო სკოლის პროგრამის მიხედვით შემდეგ საგნებში: 1. ქართულ ენასა და ლიტერატურაში (თხზულება), 2. მათემატიკაში (წერა, ზეპირი).

რუსული სექტორის **პირველ კურსზე შემსვლელები აბარებენ** მისაღებ გამოცდებს არასრული საშუალო სკოლის პროგრამის მიხედვით: რუსულ ენაში (კარნახი) 2. რუსულ ენასა და ლიტერატურულ კითხვაში (ზეპირი), 3. მათემატიკაში (ზეპირი).

რუსული სექტორის **მესამე კურსზე შემსვლელები აბარებენ** მისაღებ გამოცდებს სრული საშუალო სკოლის პროგრამის მიხედვით შემდეგ საგნებში: 1. რუსულ ენასა და ლიტერატურაში (თხზულება), 2. მათემატიკაში (წერა, ზეპირი).

**სკოლამდელი აღზრდის** პედაგოგიურ სასწავლებელში ქართულ სექტორზე **შემსვლელები ჩააბარებენ** მისაღებ გამოცდებს სრული საშუალო სკოლის პროგრამის მიხედვით შემდეგ საგნებში: 1. ქართულ ენასა და ლიტერატურაში (თხზულება), 2. სსრკ ისტორიაში (ზეპირი).

**შემსვლელებს დაწვრილებითი ცნობების მიღება შეუძლიათ შესაბამის ტექნიკუმებში.**



**ჩვენი მისამართი და ტელეფონები:**

თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 8-63-03, 8-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 8-72-80, სამდივნოსი — 8-81-65, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის — 8-81-84, მარქსისტულ-ლენინური თეორიისა, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 8-57-61, სოფლის მეურნეობის — 8-32-46, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 8-80-84, წერილების — 8-73-24, ინფორმაციის — 8-16-90, ხალხმბრძოლისა — 8-20-43, მუშსოფლკორთა კაბინეტის—8-08-67, განცხადებების მიღებისა—8-64-42.

უე 02494

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.